# ცისკარი.

# ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

1857

№ 8. აგვისტო.

ქ. ტფილისი.

# ქართული
# სალიტერატურო
# ჟურნალი.

რედაკტორი და გამომცემი ივ. კერესელიძე.

«თუ შეიყვარო სმენად, მიითვალე,
და უკეთუ მიუპყრა ყური შენი, ბრძენ
იქმნე.»
(წიგ. ისო-ზირ. თავი 6. მუხ. 34.)

**1857** წლისა.

წიგნი მერჳე.

აგვისტო.

ქართულის სალიტერატურო ჟურნალის სტამბაში.

ქ. ტფილისს.

# ПЕЧАТАТЬ ПОЗВОЛЯЕТСЯ

съ тѣмъ, чтобы по отпечатаніи представлено было въ Ценсурный Комитетъ узаконенное число экземпляровъ. г. Тифлисъ. 1. Августъ 1857 года. Исправляющій должность Грузинскаго Ценсора Св. Алексѣевъ.

# ცისკარი.

## ქართული სალიტერატურო ჟურნალი.

### პოეზია.

### ზღაპარი

თევზის მონადირესა და პატარა თევზ — ზედ (პუშკინით).

სცხოვრებდა ერთი მოხუცი თჳსი თურთ დედა-
ბერითა,
ლაჟჳარდის ზღჳსა მახლობლად, კლდობით მის
საფერითა,
გომსა, სავსესა ყოვლის მხრით დედაჩარდლისა
ქსელითა,
უმეტეს ოც და ათისა, ქჳალად სამითა წელითა.

მოხუცი ბადეს ესროდა და იმით თევზსა იჭე-
რდა, —

თევზსა ქალაქად ჰზიდავდა — თავს მით კმაყოფით
ირჩენდა,
და ცოლი მისი ურჯულოყამ ტარით აბრეშუმს არ-
თავდა, —
ჰყიდიდა კჳლთა ნადუჴანსა და მით სახლოსა ჰპოვებდა.

ამა გვარითა მხნეობით ორნივ ტკბილათა რჩე-
ბოდნენ;
სიღარიბისა უღელს ქუეშე არცა თუ მცირედ ჰკრ-
თებოდნენ,
გარნა ბნელთ დროთაც ცოლ-ქმარნი განცხრომით
განატარებდნენ,
ვიდრე დღეთის განგებულებით სხუას ბედსა მიე-
ხრჭოდნენ.

ერთ-გზის ესროლა მოხუცმან, ბადე ზღჳას,
მოიმედემან:
ნახა — მან ნაცვლად თევზისა ქუა მოუზიდნა ბადემან.
მეორეს სროლით ზღჳას შამბი, მუხთალმან, მო-
დალატემან,
მაშინ დაკარგა ბადისა, სროლისა არღა მწადემან.—

გულ გატეხილმან მებადემ, სურვილის მქონემ
ნაზისა,
მესამეც ჰკრულწნა დაღლილმან, ვითა მსროლე-
ლმან ასისა;
გააბა თევზი ოქროსი, დაუდეველი ფასისა,
რომელმან იწყო მასთანა უბნობა ხმითა კაცისა. —

ქვითინებდა იგი მას და ჰსთხოვდა თავის — უფ-
ლებას;
ეტყოდა: «მოგცემ რაცა გსურს, ოღონდ დამრთავ
მე ნებას,
«გმდირსო ჩუეულებისებრ ზღვაში ხალვათად ცუ-
რვებას, —
«მერწმუნე მივჰსცემ უეჭუელ ჩემგან აღნათქვამს
სრულებას.»

მან დაჰსდვა დიდ ხანს მოხუცი, შიშითა აღტა-
ცებული,
ფიქრით მოუნდე ყოვლისა, — ენითა დადუმებული;
იტყოდა: «ოც და ათ წელ არს ამ კედლობით გარ-
სულდგმული
და არაოდეს მიხილავს თევზი ხმა ამოღებული.»

განუტევა თევზი იგი, — უთხრა სიტყვა საალე-
რსო:
«ფასსა მპირდები მოცემად, თჳთ ბუნებითა უფასო!
და იყოს ღმერთი შენთანა, ტურფავო თევზო
ოქროსო;
«შენგან არ მინდა არა რა, მღჳთისგან მივიღებ
ნაცვალსო!»

«აჰა გიტევებ ტყუექმნილსა, შემკრთალსა შეში-
ნებულსა,
«აქამდინ თავის-უფალსა, — დღეს ჩემგან დამო-
ნებულსა;

«წარვედ ხალვათად იცურვე, ზღჳსა მის ღრმისა უფსკრულსა;
«მარამ თუ გთხოვო ოდესმე, მწე მექმენ მეჭირვებულსა.»

მსწრაფლად რა იგი მოხუცი, ზღჳსა მის კიდედ განვიდა,
გაშალა ბადე გაამრთო, და სახლად თჳსად წარვიდა.
ესე შემთხჳევა ცოლს უთხრა, — ცოლი საშინლად განრისხდა
და ამ გვარ შეცთომისათჳს ქმარსა უშჳერად ჰლანძღვიდა.

ეტყოდა: «ქონებითა-ჩარ ღარიბი, და ჭკჳთ სულელი,
«სახლისთჳს არას მზრუნველი და სრულიად უნაღვლელი:
«რატომ არ სთხოვე, სულელო, მას ვარცლი პურის საზელი,
«რომ ჩჳენი აღარ ვარგოდა, შუა პობილი და მჭჳდლი.»

მოხუცი იგი მაშინვე, მცირე ჟამ დაუყოვნებლად,
ცოლისგან შეჳგზრებული, რბენით წარვიდა დაჯჳარდ ზღჳად,
მის თევზის სამიებლად, მისდა ამ ჭირის სათხრობლად;
და რა მივიდა, კიდით გან, უწყო წოდება ხმა-მაღლად.

თევზი ოქროსი დიჭერით ცურვით მიუახლოვდა მისს ხმასა,
და ჰკითხა: «რა გსურს მოხუცო? მითხარ, ნუ იმა-ლი შენ თქმასა;
არ დავაყოვნებ — შენს თხოვას მიგჰსცემ უხჳად კმაყოფასა,
თუ არ გარდახდა ის თხოვა ჩემის მალისა ზო-მასა. —

მაშინ მოხუცმან თევზსა მას თავჭდაბლად თავი დაუკრა
და ყოვლი თჳსი ვაება, ცოლისგან, წვრილად მოუთხრა.
თევზმან მსწრაფლ მისსა ოხვრითსა საჩივარს ყური მიუპყრა:
«წარვედ და გექმნას ყოველი, რაც მთხოვე, —» ეგ-რეთ მან უთხრა.

გახარებული გაიქცა, მუნით რა იგი საწყალი,
ნახა, რომ მისსა დედაბერს ვარცლი წინ ედგა ახალი.
იყვირა: მოვრჩი დედაბერს, მით ჰქონდა გული მაღალი;
მარამ უმადლო დიაცი კჳალად დაუხვდა გამწყრალი.

ლანძღვით ეტყოდა: «რა ჰნახე შენ ვარცლში დასახარბევი?
«ესოდენ ჟამ არს ზღჳსს პირზედ ამაოდ დაიარები,»

«ეგ ერთი ჰპოვე შემთხჳევა, გულისა გასახარები,
«და არცკი ჰსთხოვე მას ქოხი, თავისა შესაფარები.»

დაღონებულმან მოხუცმან მსწრაფულად მიჰმართა ლაჟჳარდ ზღჳას,
და უწყო ხმობა, რომლისგან ელოდდა კმაყო-ფილებას.
თევზი მიცურდა მისდა ზღჳით, რა ყური მოჰკრა მისსა ხმას,
და ჰკითხა: «რა გსურს მოხუცო, ნუ უკჳე მთხოვ მე სხჳასა რას?

მაშინ მოხუცმან თევზსა მას ასე მიუგო სიმდაბლით:
მოთმინებითგან გავსულვარ ჩემის ცოლისა უჯჳძ-რებით;
ქოხსა მთხოვს დაუცხრომელად, მისთჳს მოგმართე ვედრებით.
თევზმან მიუგო: «ნუ სწუხარ, წარვედ და გექმნათ ქოხი მღჳთით!

წარვიდა იგი მუნითგან, რა ნახოს თჳსი ბოსელი,
მარამ მის მეწლის ბოსლისა ვერ ჰპოვა ვერცადა კჳალი:
ნახა, რომ მისსა წინაშე, ჰსდგას სახლი უცხო, ახალი,
რომელს აქჳს თეთრი ბუხარი — ჭერად სულ მუხა ნათალი.

მას დედაბერი, მჯდომარე ახლის სახლის სარკმელზედ,

განბრწყინვებულა მზის შუქით, გარნა ამაყობს კეჲლაგ ქმარზედ,
და ეუბნება: «შე ბრიყვო, სულელო უფრო სულელზედ,
რას ჰსთხოვე, რასა დაჰხარბდი და რათ მოსტყუვდი ამ სახლზედ?»

დაბრუნდი უთხარ თევზსა მას, არა მსურს გლეხთა წოდება;
არამედ მინდა უეჭველ ტახტის აზნაურთ ღირსება!
წარვიდა იგი დაჯერებულ ზღვაზედ, რა უწყოს თევზსა მაგენა:
ნახა ზღვა შეშფოთებულა — არდა აქვს წყნარი დინება.

მუნ დასდგა შორით მოხუცი და უწყო თევზსა ზახილი;
თევზი მიცურდა მისდა მსწრაფლ, აღთქმის სრულ ყოფად მზა ქმნილი,
და ჰკითხა: «რა გსურს მოხუცო? მითხარ სწორე და ნამდვილი:
ნუ უკეთუ შენსა დიაცსა კვლავ რაიმე აქვს წადილი?»

მაშინ მოხუცი თავს უკრავს მოწიწებით და მორ-თალობით,
და ევედრება, ჰელმწიფავ, თევზო, მომხედე წყა-ლობით;
ჩემი ბებერი უწინდელის უმეტეს ამპარტავნობით,

მტანჯავს, მაწუხებს, არ მაძლევს მოხუცს ცხოვრებას მშვიდობით. —

გლეხობას აღარ კადრულობს; აწ სხვას ღირსებას მინდობებს.
უთხრა: «წარვედ და ნუ სწუხარ, სულ აღვისრულებ მაგეებს.»
გაიქცა დიდი იმედით და თავის ბუნერს ახარებს.
რომ მისვან შეეზრებულისა, საწყალმან თავსა ნუგეშ: ჰსცემს.

მარამ საბრალო უეცრად, გაოცებული რას ჰხედავს?
მისს ცოლსა სახლი მოურთავს, და თითონ დერეფანზედ ჰსდგას;
სინჯაფით სავსე ტოლომა ამაყად მხრებზედ მოუსხავს,
და ყელი მისი ნარნარად მარგალიტს გარე მოუცავს.

სასიამოვნოდ უბრწყინის წითელს წუღებში ფეხები,
თვალთ მისატაცად შემკულ აქუს ოქროს ბეჭდებით ხელები;
გვერთა ახლავან ერთ—გულნი მას მონანი და მხევლები, —
რომელთაც რასა შეუკვეთს, არიან აღმსრულებლები.

ესე რა ნახა მოხუცმა, თჳალნი ცად მიმართ აღახჳნა,
და ცოლის კმაყოფისათჳს ღმერთსა მადლობა მიუძღუნა.

მყის ქალბატონმა სასტიკად შესჭყივლა, ქმარზედ განრისხნა,
და მყისვე მოსამსახურედ საჯინიბოში წარგზავნა.

მცირეს ჟამს შემდეგ ბებერი კვალად შეიქმნა სულელად:
ქმარსა უწოდებს წარგზავნად თვისთან ამისა სათქმელად,
რათა მან შეიქმნას მისწრაფულადვე მეფედ ქვეყნისა მპყრობელად,
ჴელით უპყრას: სკიპტრა, გვირგვინი, პორფირი შესამოსელად.

მყის საბრალომან მოხუცმან შიშისაგან თავი დაჰკიდა;
ცოლისა ამ გვარს ქცევაზედ, იგი საშინლად განჰკვირდა,
და რქვა: «ბებერო, ქვეყნისა ჩვენზედ სიცილი რათ გინდა,
რომელ სრულიად სამეფო ჩვენს სამრახავად აღტყინდა?»

გაჯავრებით აქა ბებერი, ქმარსა რასახით გაუწყრა
და მყისვე რისხვით სილაცა, საცოდავს ყბაში შემოჰკრა;
დასაჯა ზომის უზდრეს და კინაღამაც ასაჭყრა,
და შემდეგ ამათ სიტყვათა დასამატებლად ეს უთხრა:

«ვით ჰბედავ, ბირუგო, ჩემთანა უბნობას ხმითა მაღლითა?
«უწყი ვინა ვარ, სულელო, თჳთ მხედავ შენის თვალითა;
«ნებითა წარხვალ ის გიჯობს, —არა წარგგზავნი ძალითა, —
«უარ ჰყოფ, ჯალათთ უბრძანებ, თავი მოგკუეთონ ხრმალითა.»

მოხუცმან მსწრაფლად ცოლისა შიშით იტჳრთა მონება,
და მყისვე ჩუეულებისებრ, ზღჳსკენ მიმართა გონება;
ჰსწუხდა: «ვით უთხრა მე თევზსა ეს საშინელი ოცნება?»
მარამ რაექმნა უბედურს? აღარ შეეძლო ყოვნება.

მჳნ მირავიდა საბრალო მახლობლად ზღჳსა კიდისა,
ნახა ზღჳა შავად ქცეული, ხმა ესმის გრგვინვა დიდისა;
თევზსა ჩასძახა გულ—მწუხრად, თჳნიერ ყოვლის რიდისა,
და თევზს რა ესმა ხმა მისი, მიცურდა ქნევით კუდისა.

და უთხრა: «აბა წარმოსთქუ, რისთჳს მოსულხარ და რა გსურს?»
მოხუცი მდაბლად თავს უკრავს და ეუბნება ამ პასუხს:

«ამ სოფელს ყოველს წყალობას შენგან მოველი
მე მღჳთიურს;
«ვჰგონებ დამიხსნი ღრუბლისგან და მომცემ ცხო-
ვრებას მზიურს:»

«ჩემი ბებერი საშინლად თავილობს აზნაურობას,
«და უმეტესის ზჳაობით ან უკჳე ნდომობს მეფობას;
«აღირსე ყურადღება ამა ჩემს მდაბალს ვედრებას
«და დამხსენ ბოროტ ბებრისგან ყოვლ ჟამ უჴომს
ვაებას.»

თევზმან ჰრქჳა: «წარვედ ნუ სწუხარ, უეჭვოდ
მეფად იქმნება
«შენი ბებერი, — ერიცა მრავალი დაემონება;
«უკეთუ ამით მაინცა ის კმაყოფილი გახდება,
«და მისის მეფად ჯდომისგან შენ მოგეცემა კჳლავ
შჳება.»

მოხუცი ცოლთან მაშინვე წარვიდა ხან დაუზმელად;
და რა მივიდა, რა ნახა? ძნელ იყო საფიქრებელად:
დიდსა სამეფოს დარბაზში, იხილა მეფად მჯდომელად
თჳსი ბებერი, რომელსა მრავალნი ახლდნენ მუნ
მცჳელად;

საბატონი და სხჳანი, მაღლისა წოდებისანი,
იყჳნენ სრულ — მყოფნი მალიად, მისისა ბრძანე-
ბისანი;
ბურობა ჰქონდა, და ხმანი ისმოდნენ საკრავისანი;

წინაშე მისსა ისხმოდნენ ღჳნონი გალშით ზღჳსანი.

მუნ მისართმელნი მეფისა უხჳად ეფინნენ სუფრაზედ;
ურიცხვნი, მკაცრნი მცჳწლთ დასნი ედგნენ დარ-
ბაზის კარებზედ,
და ქწუოთ ცულნი მახვილნი, ნაცჳლად საჭურვლის,
მათ მხრებზედ,
რომელთა ჰლესდნენ სახმარად, მეფას ორგულის
კისერზედ —

მოხუცმან ესე იხილა დიდითა განცჳფრებითა
და ფერხთა თჳსის ბებრისა თაყჳან ჰსცა მოწიწებითა,
და ჰრქჳა: «ჰე, მკაცრო მეფაო, აწ გჳგონებ იყო
შეჳწბითა
და სული შენი ხარობდეს ყოვლის კმაყოფილებითა

ბებერმან საწყალს მოხუცსა შეხედვა არცკი
აღირსა;
მხოლოდ გაგდება მუნითგან უბრძანა მსწრაფლად
მცჳწლთ დასსა.
მისცვივდნენ მსგავსად მტარვალთა და მგელებრ
ჰსწეწდნენ საბრალსა,
და ესრეთ კისერში ცემით გამოაცალეს მეფასა.

სხჳათ მცუწლთაც მუხანათსავით კარებში ქუდი
წასტაცეს,
და ცოტას მორჩათ, საწყალი, კინაღამ ცულით
აკუწეს.

ერთა, ამისა მხილველთა, მოხუცს მრავალი დასცინეს,
ნიშნავ ბევრი გვარ მოუგეს, და ასეც უსაყვედურეს:

«ახია შენზედ რეგვენო, რისთჳს იხმარე ბრიყობა?
«როგორ ვერ იგრძენ ცოლისა შენის უზომო
ზვაობა;
«ყოველს ჟამს დაუყოვნებლად ასრულე მისი ბრძანება.
«მერე აღარ იქმ მზგავსს საქმეს, — ეგ სწავლად
გამოგადგება!»

ორ კვირას შემდეგ ბებერი, კიდევ საშინლად
მრისხანებს,
და ქმრისა თჳსის მოყვანას დარბაისელთა უბრძანებს;
გაიქცნენ დარბაისელნი და სადაც იყო იპოვნეს,
და ესრეთ გაკავებული, საწყალი მეფას მოჰგვარეს.

მაშინ ჰრქუა მოხუცს მეფამან: «წარველ და უთხარ
ოქვზსა მას,
«რომ ცოლი შენი არ ნდომობს უკეც ხმელეთის
მეფობას;
«იგი აპირებს შეჭვოდ ცათ ქუეშე ზღუათ მფლო-
ბელობას:
«თაკილობს ხმელზედ ცხოვრებას, ჰსჩემობს ნეპ-
ტუნის ჴელობას!»

«და ესეც უთხარ, რომ თჳთცა აქ მახლდეს
თევზი მე მონად,

«აქეთ და იქით საჩქაროდ გასაგზავნ-გამოსაგზავნად.»
მოხუცი ასე შეძრწუნდა, აღარ მალ-ულდგა სიტყჳს თქმად:
მარამ ვერ მყოფი უარის, წასვლისთჳს იყო იგი მზად.

გასწივა მსწრაფულად მოხუცმან, და რა მივიდა ზღჳის კიდეს:
ნახა, რომ ზღჳაზედ საშინლად ზვირთნი ებრძვიან ურთი-ერთს;
ბნელს ნისლს ზღჳა გარე მოუცავს, და ქარი ოდენ ხმას ამღევს!
დასდგა მოხუცი მახლობლად, უწყო წოდება ოქროს თევზს.

თევზი მიცურდა მისდა ზღჳთ, რა ესმა მისი მახილი,
და ჰკითხა ჩურჩულებისებრ: «აწ რისთჳსდა ხარ მოსული?»
«რა ვჰქმნა მაწყინებს, ჴელმწიფავ, ჩემი დიაცი წყეული,
«რომლისგან უკუე შევქმნილვარ მოთმინებითგან გასული:»

«ნაცჳლად ხმელისა აწ მას ჰსურს ოკეანეს ზედა ცხოვრება,
«მრავალთა ზღჳსა ცხოველთა და თჳთ შენცა მონება;

«სადაც გიბრძანოს წარხვიდე, მარად შენ მისი ჰყო-
ნება.»

ასე მიუგო მოხუცმან და იწყო მის წინ გოდება.

თევზმან პასუხი მოხუცსა არა მისცარა ამაზედ,
მხოლოდ ერთიღა კუდითა დააწკაპუნა მან წყალზედ;
მსწრაფლად სახითა მრისხანით გაცურდა იგი ღრმას
ზღჳაზედ,
და ესრეთ თვალნი მოხუცსა დარჩა მის თევზის
ლოდნაზედ.

დიდს ხანს ელოდდა პასუხსა მოხუცი, დაფი-
ქრებული;
მარამ რა ვეღარ მიიღო, დაბრუნდა დაღონებული,
და რა სახლს მიუახლოვდა — შეიქმნა განცვიფრებული:
ნაცვლად სამეფოს პალატის, საშინლად დაძველებული

ნახა მან თჳსი ბოსელი, აღრინდელ გვარად
მკობილი;
შიგან თავისი ბებერი, მჯდომარე გულ-ჩათხრობილი,
ყოვლისა დიდებისაგან, უცებ ცარიელ შთომილი,
რომელსა ოდენ წინ ედგა ვარცლი, შუაზედ პობილი.-

დ. ჭვალობელოვი.

## დარაჩიჩაღის მთა.

ვიშ დარაჩიჩაღო, შენს ლამაზ მთასა, ბუნებისაგან მწვანით მოსილსა,
ტყესა შეჯგუფულს, გაფურჩქვნილსა და მისა ქუეშ უცხოსა ჩრდილსა;
ველთა ყვავილთა აღსავსესა, შენის ცვარითა გაშლილ-დაზრდილსა,
ცრემლთა წყაროთა, მომდინარეთა, აღურაცხელის კალმახთ გავსილსა.

აი გესტუმრეთ, ჩვეულებრივ შენნი სტუმარნი,
ერევნის სიცხის გამომქცევნი და მოჩივარნი.
ვიცი დაგხვდები, შეგვიბრალებ, გვიღები კარნი,
მოგვცემ ნიავსა, გვასმევ წყაროსა, რომლისა გვიყვარს ტურფა წანწკარნი.

შენი მე მიყვარს დარაჩიჩაღო, ხან ნისლს მოირტყამ, დაიმალები!
თითქო უფურიხარ მძიმე დუმილსა, ორთქლავ, მრისხანებ, დაიკრძალები,
ვერვინ შეგირყევს დრომდენ დუმილსა, თუ არ შენივე ქარის მალები,
რომლით განაზნევ შენზედან ნისლსა, ჰგავს დიმილითა დაგვენახები.

ოხ! მთაო, გეტყვი. სასუფეველ ხარ ამ ქვეყანად შენა?

ღმერთმან განაგრძოს წელნი მისნი, ვინ პირველად
შენ განგაშენა;
თვარემ ამ დროსა ძველის კოშკთ გააქვსთ ბზუილი,
არ არს ყურთ სმენა,
უცხოს სიმღერით მოჭყრინდებიან და აღუდუღებს
იმათი კბენა.

მე გუშინ-წინა გულ სევდიანი, შენს ველს ვავლდი,
თავის წინ მგლელად,
ვმტყოდი გულსა, მო განიშორე ფიქრი მასზედა,
ვინა გუავს მკვლელად,
თვარემ ოხვრანი, რომლებში აწ ზი, წყლულად
შექმნიან ძნელად და ძნელად!
განა ამ დროსა ვნახე უკავილნი, ნაზის რხევითა
ცვარ შენასვლად...

მათ მომაგონეს იგი მშვიდი დღე, ოდეს სატ-
რფოსა მე გვერთა ვახლდი,
ვსტკბებოდი გულით, მისგან დაგულით მყისვე თვა-
ლითაც ხშირ-ხშირად ვლახდი,
ხელს მეპყრა ვარდი ადრე ნაწყვეტი, რომელსა
სუნსა ღია უძრახდი;
მან მრქვა: ეგ ვარდი ცხოველს ვარდთანა რა სუნს
მოიღებს ან რასა სახლი!

ამ მოგონებით ჩემორე ფიქრი, გულს რომ ურ-
ჩევდი, მსწრაფლ შემეშალა,
ვგონებდი ნამდვილ ის ჩემი ვარდი, აწ თვალთა
წინა მე გამეშალა!

შემიკრთა გული სიამოვნებით, მყისვე ფერიცა სახეს
მეცვალა!
მარამ სად იყო გაშლილი ვარდი, ან ლხინად
ჭირნი ვინ შემიცვალა?....

ოხ! მთაო, მთაო გაფიცებ შენ მას ბუნებას,
რომელმა შეგქმნა მაგ მხედველობით.
წყლულსა მეწამლენ, ცრემლნი შემიშრე, ნაკადი
ცხარე გულის მწველობით,
მალვიძს ამად რომ, ყოვლნი ყვავილნი სამკურნა-
ლონი, შენს გულს ბუდრობენ შენის მცველობით,
მათთან შეუქმენ საბრალო გულსა კარგი წამალი,
აცხრენ კელობით.

თუ არა, მთაო: ეს მაინც მიყავ, მასვი სამსალა
რაიმე მწარე,
და მოვკვდე შენთა ყვავილებშია, იქვე იზრუნე
ჩემთჳს სამარე,
ნიავ მობერვით, ყვავილთ ფურცელნი, ნაცჳლად
ცრემლისა ზედ მომაყარე,
მკჳდარი დავითი, ჩემო გახსოვდეს, გონებისაგან
ნუ გამაყარე!.....

დავით თადიევი.

1857 წელსა
ივნისის 22 დღესა.
დარაჩიჩადი

# ამბავი.

## უმანკო სისხლი.

ვინიცის რავდენი ამბავი მომხდარა ჩვენს ქუეყნეში, დიდი ანუ მცირე; მგონია ერთი მცირედი ადგილი არ იყოს ჩვენს ქუეყანაში, რომ ჩვენს წინაპართ სისხლი არ დაეღვარათ იმ ადგილზედ თავის მამულისათჳს და სარწმუნოებისათჳს. ამაზედ ბევრი სათქმელია, მაგრამ ლაპარაკის გაუგრძელებლობისათჳს ეს ვიკმაროთ და ამის შემდგომი წავიკითხოთ, ამ უმანკო სისხლის ამბავი.

ერთს ქართველის დიდის კაცის სახლში აღიზარდნენ სამნი ყმაწვილნი ქალები: სადმრთო საერო წერილები დაასრულეს, კერვა ქსელ საქმეში გავითარდნენ, წყნარი მშჳდობიანი ქცევა მიიღეს, უფროსების პატივის ცემა დაიხსოვეს, დედ მამისა მორჩილება დაიმარხეს, კრძალული ყოფა ცხოვრება შეიძინეს, თანასწორის პირებისათჳს შესაფერი ზრდილობა ისწავლეს და დარბაზობის საუბარსაც უცხოდ მიმოხვრიდნენ, სადაცკი ადგილი ექმნებოდათ უზნობისა. ერთის სიტყვით: მართებული ხასიათი დაიმკვიდრეს და ყოვლის კეთილის ზნეობით შეიმკნენ. აი ძველი სწავლა ჩვენი ქალებისა. (*)

(*) თუ ვისმე შინაურობაში არ შეეძლო აღზრდა შეუძლებლობისა გამო, სადაც კარგი დედაკაცი იყო და კარგათ გაზრდილი იმას მიაბარებდნენ თავის ქალს, რომელიცა დიდის ყურადღებით აღზრდიდა სწორეთ ისე, როგორც ზევით ითქვა.

იმ ქალებს ერქვათ: ანა, ბარბარე და მართა. სამნივე იყვნენ მშვენიერები, სამნივე პირ მრგვალნი, სამნივე შავთუალ-წარბანი, სამნივე ტანადობით სრულნი, მაგრამ ერთმანეთს კი არა გვანდნენ სახით. ანა იყო იმ სახლის თავადის ქალი და ის ორნი იყვნენ იმისი აზნაურებისა, რომელნიცა იმ თავადის ცოლმა გაზრდევინა თავის ქალთან სიყმაწვილითვე ერთად და დებისავით სიყუარულით.

ამ ქალების გამდელი იყო მოხუცებული ფერია (საკული), მშჳდობიანის სახის მქონე და სრულებით თეთრი თმიანი. ამ მოხუცებულს გამდელს თავის დროზედ მოეთხოვა ხარკი სოფლისა, იმანაც მისცა დამყუდროებულს გულით.

იმ თოთხმეტ თოთხმეტ წლის ქალებმა, თუმცა წესისამებრ თავიანთი მბზინვალე შავი ღულამბრები და გძელი დალალები არ დაიმალეს თავიანთის ნაზის თითებითა, რადგანაც უმაწვილები იყვნენ, მაგრამ გულმოსაწყვლელის სიტყვებით დასტიროდნენ წყნარის მოთქმით და გულსაკლავათა ცრემლთა დაათფრქვევდნენ თავიანთ მოჭინახულეს ცხედარზედ იმათ მაყურებლებს გული უდუღდებოდათ და შორიდამ ჰქვითინებდნენ იმათ.

იმის დასაფლავების შემდეგ, იმ ღამეს ის ქალები ისხდნენ თავიანთს ოთახში შეწუხებულები, სადაც ამდროს არავინ არ იყო და ამას ამბობდნენ.

ანა. ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს ჩვენს გამდელს ფერიას.

ბარბარე. ოჰ, ჭეშმარიტად.

მართა. ახ, რა კარგი რამ იყო. აბრაამის წიაღ-
ში განუსვენოს ღმერთმა.

ანა. ჩემო უსაყვარელესო დებო: იმისი სწავლა კარგათ გვახსოვს, ეს სოფელი კეთილისათჳს არის დაარსებული ღვთისაგან, მაგრამ როგორადაც ბოროტად არის შეცვლილი; ამისთჳს იმისი სწავლისამებრ, გვმართებს ყოველდღეს მდგომარეობას მოვშორდეთ სოფლისასა და ღმერთსა შევუდგეთ:

მართა. დიად კარგი იქმნება, ჩემო სიცოცხლე დებო.

ბარბარე. მართლა, დიად კარგი იქმნება, ჩემო მანუგეშებლებო დებო, მაგრამ სად და რომელს ადგილს შევიდეთ?

ანა. ქ. ტფილისის მახლობლად, რომ ეკკლესია არის მთაწმიდის შუა გულს მთაში, წ. დავითისა, იქ შევიდეთ; იმ ეკკლესიის მღვდელი და იმისი ცოლი მეტად კეთილები არიან ორნივე — მე დარწმუნებული ვარ, კარგათ მიგვიღებენ ის საწყალი უშჳლოები.

მართა. ბევრჯელ ვყოფილვართ ქალაქში. მაშინაც ხომ იქ ბრძანდებოდნენ შენი დედმამა, და ჩვენც იქ ვიყავით? — ერთხელ რომ წავედით სამნივე ჩვენ, იმ წ. დავითის ეკკლესიაში სალოცავათ, მაშინ ეგ აზრი წარმოიდგა გონებაში, რაც ეხლა ჩვენ განზრახვა გვაქვს.

ბარბარე. როგორც იქნება იქამდის მივალთ, მაგრამ იმ მღვდელმა რომ გაგვამჟღავნოს?

ანა. რას გვიცნობს ვინა ვართო? თუნდა გვიცნოს, მღვთისთჳს შეგვიწირავს თავი და მისთჳს დიდათაც

უნდა იამოს.

კარგად მოლაპარაკების და გაზომის შემდეგ, როდესაც ფერხის ხმა მისწუდა კარზე, და ამ ჟამად იმათ ოთახში არავინ არ იყო, ამ დროს ღვთის სახელი ახსენეს, სამნივე მამაცურად წარმოდგნენ ფერხზედ, ჭური და ყველი ჴელსახოცში შეახვიეს, კარებში გაიხედეს, ნახეს ყველას ეძინათ, გარდა იმისა რომ თექვსმეტი დღის მთვარე იყურებოდა მოწმენდილის ზეცითგან და ვითომცა ტალარს ჰსწევდა უმანკოთა იმათთჳსა, გზა ეჩვენებინა.

ტრედები ბუდითგან გამოფრინდნენ და სასუფეველის კარებისაკენ წასვლა ისწრაფეს. იმათ არც აბზარავის ფრინველებისა ეშინოდა, არც მტაცებლის მკვეცებისა.

გამოიარეს სახლის ეზო,—გაიარეს სოფლის ორღობე და დიდ შარას გზაზედ გავიდნენ მხნედ ის პატარა ფეხებიანები გაწყობილს წითელის წუღებით; ასე ჩქარა მიდიოდნენ უქოშონი, რომ კარგი შიკრიკიც ვერ მიჰყვებოდა იმათ. კარგი ის იყო, რომ გზა კარგათ იცოდნენ ქალაქისა და არც მგზავრი შეხვდათ ვინმე:

გარიჟრაჟზე მცხეთის ხიდზე გავიდნენ; შარას გზაზე ვეღარ გაბედეს წასვლა მგზავრების შიშით და ამისთჳს მაღალს მთასა შეუდგნენ იქვე ხიდის მოახლოვოდ მტკვართან; მინამ კარგათ ინათლებოდა მთის წვერზედ ავიდნენ, და იქიდამ ქალაქის მთები დაინახეს დიდის სიამოვნით. ახლა მთამთა იარეს ტყის პირას, ქალაქი არ დაჰკარგოდათ თვალითგან, და

ბინდზე დილმის ხეობაში შევიდნენ წყალის პირზე: ამ დროს მთვარეც ამოვიდა.

მცირეს ხანს წყალის პირზე დასხდნენ, ცოტა დაისვენეს, პური იჭამეს და მას უკან გზასვე შეუდგნენ. ახლა სწორეს გზაზე იარეს; შუაღამეზე ადრე მთაწმინდაში ავიდნენ, წ. დავითის ეკკლესიას თაყვანი სცეს, იქიდგან გამობრუნდნენ და მღვდლის სახლის კარი დააკაკუნეს.

იოსებ მღვდელსა და იმის ცოლს ანასტასიას ჯერ არ ეძინათ, ლოცვის წიგნი ხელში ეჭირათ და გულ მხურვალედ ილოცვიდნენ. უდროო კარის დაკაკუნება არც ერთს არ იამა, მაგრამ მაშინვე მივიდა მღვდელი, კარები გააღო და ანთებული წმინდა სანთელი გაანათა კარებში, შეხედა, იცნა სამნივე და გაკვირვებით ჰკითხა:

«ანა, რა ამბავია ასე უდროოთ თქვენი მობრძანება?» ცნობისათვის, თუმცა დიდად შეკრთნენ ქალები, მაგრამ ანამ თავიანთი განძრახვა ყოველივე უთხრა გადაწყვეტით.—მღვდელსა და სახით საუცხოვოს, იმისს ტან წვრილს და ტანადს ცოლს, თუმცა დიდად იამათ, მაგრამ კიდეც შეშინდნენ.

რასაკვირველია იმ ღამეს დიდი პატივი მიაპყრეს სამსავ. მეორე დღეს მღვდელი ქათალიკოზთან წავიდა მოადრეოდ და ყოველივე მოახსენა, რომლებთანაც ორი ეკკლესიის დიაკონები დარჩნენ, ერთი ორმოცი წლისა და მეორე ორმოცდა ათისა. ეს დიაკონები დიად უცხო მოსამსახურენი იყვნენ ეკკლესიისა და მღვდლისა დიდი მორჩილნი. ორმოცის

წლისას ერქო პეტრე ჲ ორმოცდა ათისას თევდორე.

უკეთილესმა ქათალიკოსმა, რომ მოისმინა მღვდლისაგან, დიდად მოიწონა, მაგრამ იქით ზევით მხარეებს ზევრი ამეზნინეს ის ქალები ანას მშობლებმა; ბოლოს შეიტყუეს როგორც იყო ჲ ქართლის მეფეს ლუარსაბსა წიგნი მოართვეს. ამაში ორი სამი დღე აღარ გამოვიდა, ანასთან აზმანდა მეფე; ამ დროს ეს ქალები ეკკლესიაში იყვნენ დაჩოქილნი ამბიონის წინ ჲ გალობით ქებას შეასხავდნენ ღმერთსა.

მეფე დიად ახლო ნათესავი იყო ანასი: — ერთმანეთს რომ არ მოშორდებოდნენ ის ქალები მოინდომა: სამნივე გამოიყვანა ჲ ანა დედმამასთანვე დაებრუნებინა. ყოველს მეფის ბრძანებაზე დიად კრძალვით მოახსენებდნენ სამნივე ჲ გადაწყვეტილის სიტყვით, რომ უთუოდ იქ უნდა დამკვიდრებულ იყვნენ, ერთი მეორეს განუშორებლად. ვერას ჩაგონებით ვერ შეიძლო მეფემ იმათი გამოყვანა, ამისთვის მთაწმინდაში დაემკვიდრნენ ღვთის მველებად.

ერთი თვე აღარ გასულა, ქალაქში გაიქოვა. — «ხვალ სამი ქალი უნდა იკურთხნენო მონაზვნებად». ამაზედ მთელი ქალაქის მცხოვრებნი შეიძრნენ რაღაც საამოს ფიქრითა: ზოგი რას ამბობდა ჲ ზოგი რასა. — მეორეს დღეს, მრავალნი ქალნი ჲ კაცნი შეიყარნენ სიონთა მღვთის-მშობლის ეკკლესიაში მონაზვნების კურთხევის საყურებლად. მცირეს ხან უკან ის ქალები მოიყვანეს ჲ ქათალიკოზის კელთ

იკურთხნენ მოლოზნებად. როდესაც მოლოზნების კურთხევის დრო მოვიდა, ქათალიკოზი ამბიონზე გამობრძანდა თავისის სამღვდელოთი, აქედგან მოლოზნები მივიდნენ და იმის წინ დაიჩოქეს; ქათალიკოზმაც იმათ შავი მაზარები გადააფინა. მასუკან მოლოზნები მოჰყვნენ და ღმერთს მადლობას შესწირვიდნენ გალობითა. ამბიონიდგანაც ქათალიკოზი და მისი სამღვდელონი მისძახოდნენ, ზოგი თქმასა, ზოგი მოძახილსა, ზოგი ბანსა და უცხოდ შეწყობილს გალობას დიად მშვენიერად გალობდნენ.

აქამდისინ ეკკლესიაში მდგომნი სურვილის თვალით უყურებდნენ იმათ; ახლა ამ სახეზედ და ამ გალობაზედ, საერთო შესაბრალისი ქვითინი შეიქმნა; იმ მოლოზნების დედ-მამებმა ხომ ვეღარ მოითმინეს, თითქმის გულ შეწუხებულები გავიდნენ კარზე. გეგონათ მომკვდარანო და ჩვენსა მკვდრებსა ვმარხამთო. რაღათ გავაგრძელო ლაპარაკი, მხიარულის ტანისამოსებით შევიდნენ ის სამი ქალი ეკკლესიაში და მძიმის შავებით გამოვიდნენ, მღთის მადლობელნი გულ მხიარულად.

ორი წელიწადი დიად მშვიდობიანს ცხოვრებაში იყვნენ ის ზეციური ქალები; ყოველთვის ღმერთს ევედრებოდნენ თავიანთი ქვეყნის ბედნიერებას და ხშირადცა შეჰგალობდნენ ზეციერებასა. მღვდელი თავის ცოლით დასტრფიალებდა იმ მოლოზნებს, როგორც საკუთარის დებს. — მეტის სიხარულით აღარ იცოდნენ სად იყვნენ, ასე ბედნიერათ მიაჩნდათ თავი. ის მოლოზნებიც დიდ პატივსა სცე-

მდნენ იმათ.

ზეგრჯელ. შუადამეზედ, წინ თუ უკან, ის მოლოზნები გამოსხდებოდნენ მკვლევიის წინა მთაზედ; აქეთ მღვდელი მოუჯდებოდა იმათ გვერდით და იქით იმისი ცოლი, რომლებზედაც უწმინდესი ჯვარი გამოჰფენოდა და ვარსკვლავნი მკრთოლვარებდნენ ზეცაში.

ამ დროს საქართველოზედ თვალს გადაავლებდნენ, საიდგანაცა დიდი სივრცე დაინახება საქართველოსი. საქართველოს მყუდროს მშვიდობიანობას, რომ წარმოიდგენდნენ იმ დროსას, მეტის სიამოვნებით სასიხარულოს გალობას მოჰყვებოდნენ ეს ხუთნი წმიდანი და მაშინვე ის გალობა მოიცავდა თავისის საუკეთესოს ხმოვანებით იმათ გარემოს არეთ.

ვინც ამ გალობას გაიგონებდა, ქალი თუ კაცი ყველანი ყურს მიუპყრობდნენ იმ ტკბილ ხმოვანებას; ყველანი ძლიერ იგრძნობდნენ იმ საუცხოვოს მელოდიას და ყოველთა სანატრელად მიაჩნდათ იმათი განშორებული ტკბილი ცხოვრება სოფლისაგან.

ერთს ჟამის შემდგომ გასწყდა ის მიმოქცეული გალობა მთაწმინდის შუა მთაში, თავისი გამახილი ეჭო და ისინიც გულმობილი მადლობელი დაშთებოდნენ, ვინცა კარგს ხმას ყურს უგდებდნენ გალობისას.

ზეციურისა ამის ცხოვრებითა, ასე გაატარეს ორი წელიწადი იმ ხუთთა წმინდათა. რაც მისართმევი მიუვიდოდათ საქართველოს ერისაგან, თავიანთ საჭიროს გარდა, სხვას სულ საწყალსა, დავრდომილსა

და გლახაკთა ამღერებდნენ.

ოცის წლის დასრულებასთანვე სპარსეთის კელმწიფე აღიძრა საქართველოზედ ძლიერის ჯარებით და განძვინებული წამოვიდა უსამართლო შაჰთაბას.

გმადლობ ღმერთო! რა შეედრება აჩლანდელს სწავლის..... განვითარებას.... და განათლებას!.....
განათლებამ დასცა სიბრიყვე და ვეღარ აღსდგება იმისი მხეცური ყოფა-ქცევა.

შვიდობიანს, მოსვენებულს, ტკბილს და კეთილცხოვრებაში მყოფნი, ახლა ერთს დილასზედ მთაწმინდიდგან დაინახეს იმ ხუთთა წმინდათა შათაბაზის ძლიერი მხედრობა, მრავალ ტოტებად დაყოფილი; სხვასა და სხვას ადგილებში მოვიდნენ, დროშებ გაშლილები, და საქართველოს ნაყოფიერნი მინდვრები წაულეკათ იმათ ნაღრულს მომდინარეობას.

ეს ხუთნი წმინდანი ამათი სიხარულებდნენ, რომ საქართველო მშვიდობიანს ცხოვრებაში იყო და მცხოვრებნი თავიანთს ნაყოფიერს მამულებს აკეთებდნენ გულ-მოდგინედ, ღვთისაგან მომადლებულის კეთილის ჯილდოს მისაღებად. ნაცვლად ამისა, ახლა საქართველოზე ამხედრებული სპარსელები დაინახეს უეცრად,-და გულ-ღმობიერო იგრძენ იმათი სული რა საშინელს ბორგვაში ჩავარდებოდა! სპარსეთის ცხენოსანნი ჯარები მოვიდნენ გაამაყებულნი, ისინიც მთაწმინდიდგან დაჰყურებდნენ მეტად დაღონებულები, რა იცოდნენ რა ომი მოხდებოდა.

მოწინავე ჯარი ქ. თბილისს რომ დაახლოვდნენ აქ თფილისელების საქონელი დახვდათ სპარსელებ,

რომელიცა რამდენსამე ყმაწვილ ბიჭს დაუდიოდა სამოვარზე. ბრძანებისამებრ შათამაჩისა: — «ცოცხალს ნურავის ნუ გაუშვებთო» სპარსელებმა ხმლებს ჴელი გაისვეს, ის მწყემსები იქვე აკუწეს და საქონელი გამოირეკეს. ამათ მახლობლად რამდენიმე დედაკაცი მოვიდოდნენ ზევით სოფლისაკენ, წინდამაჭიჭის ქსოვითა და მხიარულნი მიმგზავრობდნენ, რომელნიცა ისინიც სპარსელების ხმლებით დაიხოცნენ და იმათი სისხლით შეიღება იმ ადგილის მწვანოვანი მოლი.

ამ დროს ქ. თბილისში უეცარი ამბავი მოხდა, რომ ვაების ხმა გამრავლდებოდა, დედაკაცებისა და კაცებისაგან. რა იცოდნენ რა ამბავი იყო; ამ ჟამს ქ. თბილისში შემოსცვივდნენ სპარსელების ცხენიანი ჯარი და დაერივნენ მცხოვრებში, დაუწყეს კაფა დედაკაცსა და კაცსა; ჰკაფდნენ გამხეცებულნი სპარსელები უიარაღოს თფილისელებს, როგორთაც შესეულნი კაცები ტყესა და თფილისელების სისხლი იღვრებოდა უსამართლოდ.

ქ. თბილისში ასეთი წივილისა და ძახილის ხმა შევარდებოდა ჰაერში, ქალისა და კაცისაგან, რომ სრულიად მოიცვა ჰაერი იმათმა შესაბრალისმა ხმოვანებამ, მაგრამ ვინ გაიკითხავდა იმათ?

რამდენიმე მშვენიერი ქალები მამაცად და უშიშრად წინ წამოუდგნენ მოღერებულს სპარსთა ხმლებს: ჴელები განუპყრეს და სთხოვეს სალმობიერითა ჴმითა: არ დასთხიონ იმათი უმანკო სისხლი. რა ბძანებაა, ჴერც იმათმა მშვენიერებამ ლმობილჰყო სპარსელების

გული და ვერც იმათმა ვედრებამ. მხეცაც მოლბე-ბოდა იმათის ვედრებითა, მაგრამ სპარსელებს სულ არ შეეკარათ იმათი ვედრება და არც იმათი მშვენიერის თვალებიდგან მომდინარე ცრემლი. დაუყოვნელ ის მშვენიერი ქალები დახოცეს და იმათი სისხლით შეისვარეს კედლები მტარვალებმა. შემდეგ დაერივნენ შიგნით თბილისელებშა; დაუწყეს სჭრა გაუკითხავე-ბმა, ქალისა, კაცისა და წვრილთა ყმაწვილებს. იმათი საცოდაობის სისხლი მჩქეფდა, იმათის ხოცისაგან, რომლისაგანაც სხვასა და სხვასა ადგილებზე მიდი-ოდა დარუებულისავით იმათი უმანკო სისხლი. წავით მახილის ვედრება და გულ-მტკივნეული ხვეწნა ვის ესმოდა? ვინ იყო ამ საშინელების სახის მოწამე? თუ არ დამშვიდებულიცა, მეუდროდ მაყურებელი იმათზედ.

ამ ავების დროს ნახეს, ერთი ჰაეროვანი, უცხო-სახის ყმაწვილი კაცი მორბოდა სიონთა მღვთის მშობლის ეკკლესიის წინ ქუჩაში და მძლიერის მუშტით იგერიებდა თანამომდევართა სპარსელებსა, მაგრამ ოთ-ხსავე კუთხიდ მოასწრეს ხმლიანმა მკვლელებმა; ის იყო უნდოდათ აეკუწნათ ის ყმაწვილი კაცი, ამ დროს ასეთი კივილი მოისმა, რომ მოღერებული ხმლები ისე დარჩათ სპარსელებს. შეხედეს, ერთი მშვენიერი ყმაწვილი ქალი მოვარდა, ამ ყმაწვილს კაცს ყელზედ გადეხვია და სუნთქვილით უთხრა.

— «შენ გეთაყვანოს ჩემი თავი, შენც შენთან მოვ-კვდები, ჩემო გიორგი.»

ამ სიტყვაზედ იმ ყმაწვილმა კაცმა შეხედა, ნახა

რომ იმისი ცოდნი იყო, რომელიც გიყვარსა გამდუხვია და ეგრეთისავე სურვილით უთხრა.

— მოდი ჩემო ნინუცი, ორნივე ერთად დავიხო-ცნეთ მტარვალების ყელისაგან.

ერთის კვირის ჯვარ-დაწერილნი და გაგიჟებით მოყვარულნი ერთმანეთისა, უწყალოებმა ზედ ეკლე-სიის მახლობლად ჩაკაფეს, ის უმანკოები და იმათი წმინდა სისხლით მოისხურა ის ადგილი.

ის იყო მოღერებულთ ხმლიანებსა უნდოდათ შესვლა სიონთა ღვთის მშობლისა ეკლესიაში, ამ დროს ერთი მაღალი ხმა მოესმათ უკანიდგან. «ყელი შეინახეთ. ეკლესიაში უჩემოთ არავინ არ შევიდესო.» შეხედეს, შათაბაზ მობრძანდებოდა ოქროს დარახტულის თეთრის ცხენითა, რომელიცა ყოველი სპარსი განკრძალული დადგა:

შათაბაზ ცხენიდგან გადახტა და ეკლესიაში შე-ბრძანდა. იქ შესულთ ქალებმა შემობდავლეს და კაცები კი გაჩუმებულნი იყვნენ. აქედგან ბრძანე-ბულმა ანიშნა დაჩუმებულ-იყვნენ. თუმცა დაჩუმდნენ, მაგრამ თრთოლით მოელოდნენ. — «სადაც არის უბძანებს ჩვენს გაწყვეტასაო.»

შათაბაზ მივიდა და შუა ეკლესიაში დასდგა. ამ საუცხოვოდ შემკობილს ეკლესიას თვალი რომ შეუმოავლო, დაიძახა «ღვთის სახლს რომ იტყვიან, სწორედ ეს ის სახლი არისო.» მერე მკაცრი ბრძა-ნება გასცა.» არავინ არა ავნოსრა, ამ ღვთის სახლსაო. იქ შესული ქალი და კაცები აღარ გა-აწყვეტინა, იმ ეკლესიის მატივის ცემისათვის.

ამ თბილისელების საცოდაობის კივილ-მასხილის ხმა ესმოდათ იმ ხუთთა წმიდასა მთაწმიდაში, რომლებსაცა შეეძლოთ გაქცეულ-იყვნენ, მთაზედ გადევლოთ და ერთს მიუვალს ადგილს თავი მოერჩინათ, მაგრამ ეთქვეს: რაც თბილისელებს მოუვიდათ, ჩვენც ის დაგვემართოსო და მტარვალების ჴელით დავიხოცნეთ, ჩვენი მამა-პაპურის სახელოვანის სიკვდილით, ვინაიდგან სასურველი მიგველის ზეცაში სარწმუნოების გამოვო.»

ამ სიტყვაზედ დადგნენ და დედა-მიწაზედ დამხობილნი, საცოდავათ ბღაოდნენ თბილისელებისათჳს ის ოთხი ქალი და მწარესა ცრემლსა აფრქვევდნენ გულამოსკვნილები.—გულგანხეთქებულს მღვდელსაც მოეხადა ქუდი, ზეცად ჴელები განეპყრა და გულმტკივნეულად შესძახოდა ღმერთსა. ამ ვაებაში და ამ მწუხარებაში რომ იყვნენ, ქ. თბილისს ავარდა ასეთი საშინელი ალი, რომ მთელი ქალაქი ცეცხლად გადიქცა და იმისი ალი უმაღლესსა ჰაერს შესწვდა! ამის მნახველთ უდიდესი მწუხარება და ვაება გამრავლდეს. ვინ იცის რამდენი ქალი და კაცი დაიწვა იმ ალით?.,.. ვინ იცის რამდენი წვრილი ყმაწვილები დაწვეს იმ საშინელს ცეცხლში?...

რამდენ გუნდგუნდს მიიყვანდნენ დედაკაცთა და კაცებს: ეტყოდნენ გათათრდით; ნაცვლად პასუხისა, ესენი თავს მიუშვერდნენ სარწმუნოებისათჳს და სპარსელებიც აურევინებდნენ შეუბრალოდ, გალესილის ხმლებით. ამდენი თავები დააყრევინეს, რომ ბეზარს მოვიდნენ და შაჰთამაზმა უბრძანა, მხოლოდ ტყვედ

ჰყონ დანარჩენნი. არა მხოლოდ თბილისში იყო ეს ამბავი, არამედ სადაცკი სპარსელები შევიდნენ ყველგან ეს საშინელება ასტეხეს.

ამ ვაკეში რომ იყვნენ ის ხუთნი წმინდანი, ამ დროს ერთი მცირედი გუნდი დაინახეს იმათზე მიმავალი სპარსელებისა.

აქამდისინ დავრდომილებმა, სპარსნი, რომ დაინახეს იმათზე მიმავალი, მაშინვე გული დაიმშვიდეს და როცა იმათთან მივიდნენ, ისინიც შეურყეველი გულით დახვდნენ და ანამ უშიშრათ უთხრა.

— «მოდით მტარვალებო. მაინც არ გეწყალვისთ ჩვენი სისხლი სპარსელებსა და ჩვენც ისე დაგვხოცეთ როგორც თბილისელები.»

ერთი ხნიანი თეთრ-წვერა კაცი ერია; ის იყო იმათი ათასის თავი, რომელსაცა დიდ კეთილი სახე ჰქონდა. ის ცხენიდგან გადახტა, სხვანიც იმასთანა. იმ ათასის თავსა ბრძანება ჰქონდა, თბილისის მიდამო ადგილები დაეწვა და თუ ენახა ვინმე, უნდა გაეწყვიტა, ამისგამო იმასთან მიჩენილი იყო ერთი საქართველოში გაზრდილი სპარსი, კარგათ მცოდნე ქართულისა. — ანას სიტყვაზედ, იმ ათასის თავმა იმ მიჩენილ სპარსსა ჰკითხა. — «ის შაოსანი ქალი რას ამბობსო.» იმან გადუთარგმნა და ათასის თავმა გაღიმებით უთხრა.

— «იქნება უარესის სასჯელით დაიხოცნეთ თქვენ, მინამ თბილისელები.»

— «ჩვენ არ გვეშინიან, რომლის სასჯელითაც გინდოდესთ დაგვხოცეთ.»

ანამ უშიშრათ უთხრა ეს სიტყვა. და ამ თქმაზე ამისი ამხანაგებიც შეუპოვრად მოუდგნენ ანას გვერდით. — ათასის თავმა იმათი შეუპოვრობა რომ ნახა, ღმობიერის გულით უთხრა.

— «ვითომ რა უნდა ვქნათ? — აჰა მიიხედეთ ამ ქვეყანას. როგორ აივსნენ ჩვენის ჯარებით. — აბა რასა იქთ? — ბძანება არის შათაბაზისაგან, ზოგი უნდა გაწყვიტონ და დანარჩენნი ტყვედ წაიყვანონ.»

— -მითხარ, რა ბრალი აქვსთ ქართველებს სპარსელებთან?»

— «უკუ-უდგექით შათაბაზს.»

ანას პასუხი უნდა ეთქვა, მაგრამ ათასის თავმა აღარ დაალაპარაკა და უთხრა.

— «მშვენიერო ქალო, ნება არა გვაქვს, რომ ბევრი გელაპარაკოთ, ამისთჳს მოკლეთ გეტყვი ჩემი რჩევით მრავალნი გაბედნიერებულან და თქვენაც ისე გაბედნიერდებით, თუ ჩვენს რჩევას დაიჯერებთ.»

მოდიდურის და მრისხანის სახით მიუგო ანამ.

— «აბა თქვი რა გაქვს სარჩევი?»

— «ჩვენი სარწმუნოება მიიღეთ.» დაუყოვნად უთხრა ათასის თავმა, ეგონა ამით ასიამოვნებდა.

— მგონია, უკვირთ მაგისთჳს ქლეტთ ჩვენს ქართველებს, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ და თქვენ განძლიერებული მაჰმადიანი, თორემ მაგისთანა ტყუილის რათ მოგვიგონებდით? — «შეუგვიდექითო?» აბა ვინ აღგვიდგათ წინა? —

მაგრამ არა. რადგანაც ქრისტიანენი ვართ ჩვენ ამისთჳს ტყუილი მიზეზი გიპოვნიათ და უსამართლოდ ჰლეწთ ქართველებს, ნამეტნავად უიარაღოდ. მე ქუდაკაცი ვარ და თქვენ მაგიერათ მე მცხვენიან.
მართლა, ყველას ასე შერცხვათ სპარსელებსა ჴანიც იქ იყვნენ, რომ თვალი ვეღარ გაუმართეს ანასა.

ერთი გულ უიცხეული სპარსი წამოდგა წინა,— ის იყო ათასის თავის თანა შემწე და გაუიცხებულმა უთხრა.

— «თუ გათათრდები დიაღ კარგი, თუ არადა ეხლავ უნდა დაგხოცოთ. ბევრი ლაპარაკი აღარ უნდა.»

ანამ დიახ დამშჳდებით და თაკილობით უთხრა.
— ნუ გვაშინებთ სიკვდილით ჩვენ,— ოღონდ იმოდენი დრო მოგვეცით ჩვენის სარწმუნოების წესი შევასრულოთ და მას უკან თქვენი სურვილი აღასრულეთო. —

თუმცა სპარსნი თანხმანი შეიქმნენ, მაგრამ გაკვირვებულნი იყვნენ იმათ უშიშარობაზედ, ისინი რომ თანახმანი შეიქნენ, ყველანი დავით გარეჯელის ეკკლესიაში შევიდნენ და კარგახანი დაჰყვნენ. იქ მღვდელმან ლოცვები წაიკითხა. შემდეგ გულ მხურვალეს ცრემლით წმინდა საიდუმლო მიიღეს და მერე გამოვიდნენ. შეხედეს ამ ოთხს მშვენიერს ქალს თავები მოხდილი ჰქონდათ; თავიანთი გძელი შავი მბზინვარე თმები შუბლისვიდგან თავზე შემოებორბლად და განსპეტაკებული თეთრი ყელი სრულიად უჩნდათ

მხრეუნამდისინ. ეს ის ნიშანი იყო. «უფრო ადვილად გაგვაგდებინებენ თავსაო.» ასე და ამ სახით უფრო მომატებული მგზნება მოეწყურთოდა იმათ სახეს და ერთი მეორეს მეტად აშვენებდნენ, მეტყოზოდათ ზეციური ნათელი სწვეთოდათ იმათ.

ამათ მოუძღოდა ჯვარით მღვდელი ანთებული წმინდა სანთლით, დიად მაღალი ტანისა. სახე იმისი იყო მშვიდური, თმაცა დიად შავი ჰქონდა და ხუთნივე დაწყნარებულის სახით მოვიდოდნენ მტკიცის ნაბიჯებით.

მოვიდნენ. ჯვარი მწვანოვანსა ადგილსა დასვენა მღვდელმა, წმინდა სანთელი წინ დაუნთო; მერე ხუთთავე დაუჩოქეს ჯვარსა და მწყობილი გალობა აუშვეს უმშვენიერესის ხმით.

ის ხნიანი ათასის თავი, ამ დროს ერთის საფლავის ქვაზე იჯდა იმათ მახლობლად; ასე ეცოდებოდა ისინი, და ასე ეძლო იმათი გალობა, რომ შესაბრალისად ატირდა, წამოხტა მოუთმენელად და ველ-განშურობით ზეცას შესძახა.

«ოჰ ღმერთო! რა ბრალი აქვსთ ამ საცოდავებს?»

ამ თქმაზედ გულადი ცეცხლმა თანა-მემწემ და-იმასხა — «არ იქნა ესეც გაქრისტიანდა.»

იშიშვლეს ხმლები; გამცეცებულებმა ექვსნივე ერთად დაკაფეს ის წმინდანი და იმათი სისხლით გაწითლდა ყვავილ შერეული ის მწვანოვანი ადგილი.

ასე დაიხოცნენ ის ხუთნი სული სარწმუნოებისათვის და მეექვსე სიწყალულისათვის.

მიმავალი სპარსელებს ტყვენი, რომ მიჰყვებოდათ ჩვენის ქვეყნიდგან, გუნდ გუნდად, კელეჳ გაკრულნი, ქვევითები, ფეხშიშველანი და დაგენმილი ტანისამოსით; ზოგი დედმამას ტიროდა, ზოგი ძმებსა, ზოგი დებსა, ზოგი შვილებს და ამ სავაგლახოს მწუხარებით თავიანთს ქვეყანასა ესალმებოდნენ საუკუნოდ, მაგრამ უფროსი ერთი მოთმინების მდუმარებით იყვნენ და ხმას არ იღებდნენ.

იმ დიაკვანების აღარა ითქვარა აქ, ამისთჳს რომ მინამ ის უწყალოება შეემთხვეოდათ იმის წინა დღეებში მახლობელს სოფლებში გაგზავნეს სარჩოს მოსაკრეფად. საშაბუროში, რომ მივიდნენ, იქ ბარბარე მოდიოზნის დას შეხვდნენ, იქვე გათხოვილისა; ეს ქალი უფრო მინაზებული ლამაზი ქალი იყო ხუთის სამსა, ახლად დაქვრივებული და არც შვილი ჰყვანდა, რომელმანცა დიაკონები კარგათ მიიღო.
მეორეს დილას ესეც დიაკონებს გამოჰყვა, შვდი ცხენოსანის მოსამსახურით, საუცხოვოს საგზლით და სთქვა.—«რასანია დაჲ არ მინახავს წავალ და მცირეს ხანს იმასთან დავყოფო.»
ქ. თბილისზედ ცოტა მოშორებით, რომ მოვიდნენ, ვერის ხეობაში, იქ რამდენიმე კაცები და დედაკაცები მორბოდნენ თავიანთის შვილებით და ამას მოიძახოდნენ.—«არ იქნა, თქვენს თავს უშველეთო; ქალაქელებს ყიზილბაშის ჯარი შემოგვესია, ქალაქელებს წყვეტა დაუგვიწყეს და აქაც ჩქარა მოვლენო. მინამ ზევით ბირში, ჩვენს მხარეს

ამოვიდოდნენ, გიჟისავით გამოჭყივილით და ამ ჭა-ლისაკენ გამოვიქეცითო.»

ამათ გაკვირვებით მიუგეს. — «რას ამბობთ, რო-გორ თუ ყიზილბაშენი?»

ამ სიტყვაზე, იმათ ამოიოხრეს და უპასუხეს. — «უეცრად შემოგვესივნენ, თორემ თუ შეგვეტყო, თავიანთ ყოფას ნახავდნენ.»

ეს რო სთქვეს, მაშინვე ვერის ხეობაში შეცვი-ვდნენ ხშირ ჭალაში და წყრიალმალიანში დაიმა-ლნენ. გაკვირვებულები ქალნიც ჭალაში შევიდნენ და წყნარ-წყნარა შეუდგნენ ხეობას ამ ლაპარაკით.

თქო თევდორე დაიკვანმა: «ღმერთო, შენ და-იფარე ლუარსაბ მეფე; დღეს დილას მე ვნახე, თავის შვილს რომ მარხვებდა მტერის შეკლებაში, სადაც თავიანთი მამა-პაპის სასაფლაოა; თუ ეს შეჩვენ-ბული ყიზილბაშენიც იქ წავიდნენ, სახლეულობით დატყვევდება ლუარსაბ მეფე. შვილის სიკვდილზე მე-ტად შეწუხებული მეფე, ისე რომ გონება დაკარ-გული აქვს, ამისთვის ამ ყიზილბაშების შემოსვლის ამბავი სრულებით არა იცის და მეშინიან არ და-ტყვევდეს.»

პეტრემ უპასუხა. — «იმისთანა კარგს მეფეს ღმე-რთი დაიფარავს და იმედი მაქვს, რომ ყიზილბაშენი იქ აღარ წავიდნენ.»

— «ღმერთმა ინებოს» თევდორემ მიუგო. თუ-მცა იმითი ლაპარაკი ქვრივს ქალს ესმოდა, მაგრამ მეტად დაღონებული იყო, ისე უეცრად ყიზილბა-შების შემოსვლაზე.

მწყნეთის მთიდგან ქ. თბილისს რომ გადმოხედეს ნახეს ქალაქი ცეცხლად იყო გადაქცეული, რომელნიცა მწუხარებამ აიტაცა და ქვრივმა ქალმაც თავი გაიწეწა საცოდავმა.

სადაც სპარსელნი ვეღარ შევიდნენ, ეს საშინელი ხმა მაინც ჩქარა მივიდა იმათთანა, საიდგანაც მცხოვრებნი გამოცვივდნენ და ტყიანს მთებს მიმართეს საჩქაროდ, რომელთაცა ქონება სულ სახლებში დარჩათ, ასე სწრაფად გამოცვივდნენ.

სპარსელების დაბრუნების შემდეგ, ორი დღის დახოცილები იყვნენ მოლოზნები, რომ ესენი მივიდნენ. დახოცილს მოლოზნებს და სხვებს რომ დახედეს, გულმტკივნეულად ატირდნენ, ნამეტნავად ზარზარეს დაჲ. ტირილით რომ გული მოიოხეს, მიწა გასჭრეს ეკკლესიის მახლობლად და ხუთნივე ერთად დაასაფლავეს. იმ მოხუცებულის სპარსის სიკვდილიც შეიტყვეს როგორც იყო და იმასაც იმათ გვერდით დაუმკვიდრეს საუკუნო განსასვენებელი. ამ ამბავში კიდეც დაღამდა.

იმ ღამეს ის დიაკონები და ის ქალი ისხდნენ საფლავებთანა გულ-კედ დაკრეჭილები; ხანდისხან შესაბრალის კვნესას ამოუშვებდნენ და თან მწარეს ცრემლს აბნევდა დაქვრივებული ქალი. ამ მწუხარებაში იმ დიაკონებმა განიმზრახეს ზერად შედგომა, რომლებიცა მეორე დღეს შიო მღვიმის უდაბნოსკენ წავიდნენ, სადაც მტერი აღარ შევიდა შიშის გამო: არც იქ და არც მცხეთაში.

ეს დიაკონები შიო მღვიმის წმინდა კრებასთან,

ძმათა მოვიდნენ და მონაზონად შედგნენ იქა, სადაც ბოროტცევისა აღარა ისმოდა რა, თვნიერ ძმობისა, სიწმინდისა და სიკეთილისა.

ბოლოს იმ ქვრივის ქალისა თქვეს: სამს თვეს უკან მწუხარებით მოკვდაო.

თ. ალ. ვახტანგის-ძე ჯჲ. ორბელიანი.

## ათინის ფილოსოფოსი კალისფენ.

ერთხელ კალისფენ სეირნობდა ლიკეის ქალაქის სამოქალაქო ბაღში, სადაც ნახა ფილოსოფოსი არისტოტელი, რომელიც სიხარულით მოეხვია კალისფენს და უთხრა: «წაიკითხე, საყვარელო მეგობარო, წაიკითხე ეს წერილი, რომელიც ეხლა მივიღე ალექსანდრესაგან (*); მართალია იმდენს სისხლსა ღვრის, მაგრამ მაკედონის მეფეს ისევ კეთილი გული აქვს.» კალისფენმა სიხარულით წაიკითხა ესე სტრიქონები, რომელნიც იყვნენ ალექსანდრეს ხელით დაწერილნი: «უსაყვარლესო მასწავლებელო! დარწმუნებული იყავით, რომ ყოვლადვე მახსოვს და ვასრულებ რაც თქვენ გისწავლებიათ ჩემთჳს; მაგრამ მე ვარ ხორციელი კაცი და გარეშემო მახვევიან მაცთურნი კარის კაცნი: მეშინიან, რომ ჩემი გული სიბოროტეთი არ აღივსოს, და არ გადვიდე თქვენს დარიგებას სამძღვარსა. ყოველს წამს ქუეშევრდომნი ჩემნი მეუბნებიან, რომ მე უძლეველი ვარ, წერილით თუ სიტყვითა მას მომტკიცებენ, და არა თუ მხოლოდ უძლეველი ვარ, არამედ იმაზე მეტიც ვარ: ვითომც ყოვლადვე ჩემი საქმე ღვთიური იყოს, ვითომც ბედით მაქვს დაწესებული ქვეყნის გაბედნიერება. გარნა მტერნი სხუა ნაირად ფიქრობენ: ესე მტერნი არიან ზოგნი ერთნი ჩემნივე ქვეშევრდომთაგანნი, რომელნიცა ამ ღირსებას ჩემში ვერ

(*) ესე ალექსანდრე იყო მაკედონელი.

ჰპოვებენ. ახ, მეგობარო! მე ვერ გაგიბედავე, რომ გთხოვო ჩემთან მოსვლა, ამისთჳს რომ ვიცი შენი სიბერის ამბავი; ეს მაინც დამავალე: გამოგზავნე ერთი ღირსეული თქუენი მოწაფე, რომელიცა მაგონებდეს შენს კანონებს და წამოუყვედრებდეს რასაც ღირსეულად არ აღვასრულებდე.»

«ხედავ?» უთხრა არისტოტელმა, «ხედავ რასა მთხოვს ალექსანდრე. შენ კალისფენ გაგგზავნი მაგ დიდ საქმის აღსასრულებლათ.»

«მე? — მე მგზავნი იმ დიდებულ ჴელმწიფესთან?» უთხრა კალისფენმა. «განა შეიძლება კეთილმა რომ იწარმოვოს იმ ჴელმწიფესთან და მის ხაუკარებულებთან! აკი შენ მასწავლიდი, რომ კეთილი მექმნა.»

«სწორეთ კიდეც მაგას გთხოვ შენ,» უპასუხებდა არისტოტელი; «სწორეთ მაგას თხოულობს ალექსანდრე ჩემგან; შენ უნდა წაჰყვე ჩემს გაზდილ ალექსანდრესთან, — რომელიცა ამარცხებს ქუეყნებს, ხოლო შენ უნდა დაამარცხო ისი კეთილის სიმართლითა.»

«განა რომ სადაცა უჴელანი თავის უფალნი არიან და არ ეშინიანთ ჴელმწიფისა იქ ჭეშმარიტება იმოქმედებს? ასე ამბობდა კალისფენი. — «განა ვისმე წყენისა გეშინიან?» ჰკითხა არისტოტელმა. — «ახ, ღმერთო!» შესძახა კალისფენმა: «თქუენ ხომ იცით სიხარულით ვასრულებ ჩემს თანამდებობას, ჩემის თანამდებობისათჳს სიკუდილზედაც მზათ ვარ.»

არისტოტელი არიგებდა თავის მოწაფეს თუ როგორ უნდა მოქცეულ იყო ალექსანდრესთანა. კალი-

ჩქერი საჩქაროდ წავიდა ალექსანდრესთან, რომელიცა ჰწოლა სპარსეთში მაშინ, როდესაც იმისმა ჯარმა გაიმარჯვა სპარსელებზედ.

იმისი აღწერა არ შეიძლება, თუ რა დიდებით მიიღო კალისფენ მოსვლისა წამსვე ალექსანდრემ: მოეხვია, როგორც მეგობარსა; ევედრებოდა, რომ ყოველი ბოროტი უშიშრად გამოეცხადებინა იმისთვის; უბრძანა განუშორებლად თავისთან ყოფნა, და იმავ დღესვე ალექსანდრემ წაიყვანა კრებაში, სადაც მისცა მეორე ხარისხის ადგილი თავის შემდეგ.

შეკრებაში იყო ლაპარაკი მისზედ, თუ ვითარის სასჯელისთვის უნდა მიეცათ სპარსეთის ხელმწიფის მეუღლე და მისი ქალი. დაიწყეს რჩევა. აზრის მკითხამდნენ პირველად უნცროსსა. ყოვლის იმათგანს უნდოდა ტყვების მოულოდნელად დახოცვა. რომელთაც უნდოდა ეჩვენებინა ხალხისთვის როგორი მძლე იყო ალექსანდრეს მტრად ყოფნა. მეორე სარდალი სახელით კლიტმანი ურჩევდა დაელაშქრნათ მტერზედა, რომელშიაც ჯდებოდა ხელმწიფე მესამე—არტიონმა არჩია ესრეთ, რომ თავის დღეში ტყვედ დარჩომილიყვნენ. შეჰკრა რიგი კალისფენს, რომელმანცა უთხრა: «ხელმწიფევ როდესაც მოასხან უბედურნი და უცოდველნი ტყვენი, მაშინ-მიეგებე, შეხედე მოწყალების თვალით, მიიღე მოწყალებით და გააკვირვე მთელი ქვეყანა შენის კეთილის გულით.» ალექსანდრე უგდებდა ყურსა, და რა გაათავა, წამოდგა ადგილიდგან, მოეხვია და უთხრა: «ახ, ჩემო მეგობარო! ჩემი კეთილი გული უკვირს სხვათა, ხოლო

შენი გული მე მაკვირვებს.» ისტორია მოგვითხრობს თუ როგორის დიდებითაც მიიღო ალექსანდრემ საცოდავნი ტყვენი.

მეორეს დღეს კიდევ იყვნენ შეკრებილნი ვეზი-რნი, ნაზირნი, სარდალნი და იმათ შორის ეს ფი-ლოსოფოსიც. ალექსანდრეს ჯარმა დაამარცხა მტერის ჯარი, რომელიც იყვნენ სპარსელების მეფის ერთგულნი, ამისგამო იყო შეკრებაში რჩევა თუ როგორ უნდა დაესაჯათ დამარცხებული ხალხი? ალექსანდრეს სარდალნი იყვნენ სასტიკის ზნეო-ბისანი, და ერთის ხმით აღიარეს დიდით შატარამ-დი იმათი ერთობ გაწყვეტა. ამ განაჩენზედ სთხოვეს კალისფენს ჴელის მოწერა. «აჰ, ღმერთო!» შესძახა ფილოსოფოსმა. «მეფევ, მე თითონ მომკალით უკეთუ ჴელი ჩემი ამ განაჩენზედ მოაწერს ჴელსა!» ამის-თანა უეცარმა ლაპარაკმა დააფიქრა ყველანი. ალე-ქსანდრემ აიღო ჴელში განაჩენი, დაფიქრდა და დახია, რომელითაც უნდა დაეღუპა რამდენიმე ათასი კაცი; თვალები აღებდერა ცრემლით, და კანკალით უთხრა ფილოსოფოსს: «შენ ხარ კაცთა ნათესავთა მეგობარი, შენ ჩემი დიდების მცველი ხარ!»

სარდალი ლევან რამდენიმე თვის წინათ ვიდრე კალისფენე მოვიდოდა დიდი საყვარელი იყო ალე-ქსანდრესი. გარნა ხალხს არ უყვარდა, და არც არავინ იმას უყვარდა, რადგანაც კეთილს არას ერთს არ იქმოდა ხოლომე და თუ კეთილს უზამდა ვისმე, მაინც არავინ იყო მისი მადლობელი, ამისთჳს რომ ერთი-ორად უნდა გადეხადა შემდეგ იმისთჳს. ჴელმწიფეს

ჯიდათ უყვარდა. ეს ჴელმწიფის საყვარელი რამდენიმე საათის წინათ კალისფენის მოსულამდის გახდა ავათ. იმის მახლობელთა კაცთა მაშინვე უამბეს რა დიდებითაც მიიღო ალექსანდრემ კალისფენი. ლევან ისე მალე განთავისუფლდა, რომ მესამეს დღეს შეძლო ჴელმწიფესთან მისვლა. «მიბოძეთ ნება,» შეუნებოდა ალექსანდრეს: «მოგილოცო თქუენო უმაღლესობავ კარგის ფილოსოფოსის შოვნა, მე გავიგე ვითომც მისის რჩევით კაცთმოყვარედ გამოჩენილ ხართ.» — «ახ, ჩემო მეგობარო!» მიუგო ალექსანდრემ, «თუ გინდა ჩემი მეგობრობა, გახდი შენ თითონ იმის მეგობარი.» — «ჴელმწიფევ! თუკი შეგძლევ მზათ გახლავარ!» მიუგო ლევანმა: «მაგრამ არა მაქვს იმედი; მე დიდი მოსარჩლი ვარ, რომლესაც ვირჩევთ ხოლმე ყურითა და თვალით დასანახავათ მეჯავრება ვისაც უნდა თქუენი დიდების დანთქობა.» «რასა ნიშნავს შენი სიტყუები?» ჰკითხა ალექსანდრემ. — «როგორც მადლობელი ვარ იმისის კეთილის რჩევისათჳს, ისეც მძულს იმისი ყოფაქცევა-ფიქრეთ, თქუენო დიდებულებავ, რომ გუშინ თორმეტის კაცის წინ ამბობდა, რომ უნცროსთა ხარისხთა ბძანდებით, ყველას ჴსჩადისო. თქვენ ყოველს კაცს კარგა იცნობთ. კალისფენი ჭკვიანი კაცია და რჩევისათჳსაც გამოსაყენებელი; მაგრამ..... «მე მიკვირს მე საქმე,» გააწყვეტინა ლაპარაკი ალექსანდრემ: «იმისთანა ჭკვიანი კაცი როგორ უნდა იყვეს თავის მოყვარე, და მივანდო მე უმაწვილად.» — «თქუენო დიდებულებავ!» ღიმილით უთხრა ლევანმა: «[illegible]

შეჲყუარნამ იცის, რომ ყმაწვილი აღარ ბრძანდებით.»
— «მაშ რათ ფიქრობს აგრე კალისფენი?» ჰკითხა ალექსანდრემ. — «ვერ ვბედავ, რომ მოგახსენოთ,» მიუგო ლევანმა. — «მითხარ, მითხარ ჩემო მეგობარო!» სთხოვდა ალექსანდრე. — «ის,« მიუგო ლევანმა, «ის... რომ... როგორც ვფიქრობ, ის...,.. მსწავლული გიჟი არის.»

ლევანი კარგათ იცნობდა ალექსანდრეს; იმან იცოდა რაჲ დროს იყო საჭირო დაბეზღება, ჹ რაჲ დროს იყო საჭირო დაცინება ისიც იცოდა ვიზედ გამოადგებოდა დაბეზღება ჹ ვიზედ დაცინება. ლევანმა კალისფენზედ იხმარა ყოველივე ღონის ძიება, რომ დაეჯერებინა ალექსანდრე, რომელსაც ამის შემდეგ მიაჩნდათ კალისფენ მსწავლული გიჟად:

«გასაკვირველი არის,» ეუბნებოდა ალექსანდრე თავის საყვარელს: «თუ სწავლა, როგორც ცოტა ჭკუას უმატებს. ის სწავლული, უფრო მეცადინა ჩემზედა კიდრე შენ იმაზედ.» «ჴელმწიფეო!» მიუგო ლევანმა; «არ შეიძლება, რომ მაგეფერო იმას, ამისთჳს რომ ის თავის დღეში არ ყოფილა ჩემ მასწავლებლად ჹ მე უმეტესად არ მსურს, რომ ვიყვე იმისი მოწაფე.»

ამ ლაპარაკის შემდეგ ალექსანდრემ მისცა ბრძანება ყოველთა იმის კარავში შესვლის მსურველთა, რათა შესულ იყვნენ. სხჳათა შორის შემოვიდა აგრეთვე კალისფენ, რომელსაცა ჴელმწიფემ შეხედა არა ადრინდელის სახით, ამისთჳს რომ ალექსანდრეს მოაგონდა ლევანის ნათქვამი სიტყვა, რომელითაცა

სახავდა მსწავლულ გუნდ. — «ჴელმწიფევ!» ჰკითხა კალისფენმა: «აგრე შეურთომელი ჩათა ბრძანებით? თქუენ სასტიკად გმოფუთხავთ შემოყოფილებსა, გულ-ნაკლულებს და არა გულის სმინებას!» — «შენ მართალს ამბობ,» მიუგო ალექსანდრემ: «მე შევცდი ერთ ჩემს კარის კაცზე, რომელსაც ვსახამდი დიდკოსნი-ერად და ბრძნის გამოჩნდა, რომ ძალიან მოსტყუ-ებულ ვარ.» — «ეგ შეცთომა დიდი არა არისრა ჴელმწიფისათვის,» მიუგო ფილოსოფოსმა: «უგუნურს კაცს შეუძლება ჩამოერთვას და ჩაბარდეს გონიერსა კაცსა. მაგრამ ის არის უბედურება ჴელმწიფისა, რომელიც დაბეზღებულ კაცზედ ნათქვამს სიტყვებს მიიღებს ჭეშმარიტად, მეტადრე თუ ის დაბეზღებული კაცი უყვარს, გარნა მთელის საჴელ-მწიფოს და სმენის და ამისთანავე ეს არის უბედურება ჴელმწიფისა, რომელიც მიენდობა იმ გვარს კაცსა რომელიცა მეფის ნაბრძანებს თანამდებობას ბოროტად აღასრულებს.»

კალისფენ არ იცნობდა ლევანსა და არც იცოდა თუ რომ დაბეზღებული იყო. იმან ყოვლივე ჭეშ-მარიტად აღუარა და უთხრა იმას, ვინც სთხოვა ადრევე ყოვლისფერის უშიშრად წარმოსთქუა: ალექ-სანდრე იყო დიდი გონების პატრონი და მაშინვე მიხვდა, რომ არც მსწავლულს და არც მოსწავლეს გულს არ შეეძლო ამ გვარი ლაპარაკი: ლევანმა რა შეამცნია ესა, მაშინვე დაცინებით უთხრა კალისფენს — «მაგ ქადაგებას რომლის წიგნიდამ ამბობ, მგო-ნებ არისტოტელისა იყვეს.» — «იმ წიგნიდამ,» მიუგო

ფილოსოფოსმა, «რომელიც თქჳენ დამასახელეთ, მაგრამ როგორც ვგონებ, დიდათ გეჯავრებათ.»

ეს ლაპარაკი გააწყვეტინა ერთმა კაცმა, რომელიცა ალექსანდრესთან კარავში შემოვიდა და რომელიცა იყო გამოგზავნილი სარდლისაგან, რათა მოეხსენებინა, სპარსეთის ჴელმწიფეს დიდი ჯარი შეუკრებიაო და მოდის ჩუენზედაო. ალექსანდრე მაშინვე წავიდა მტერზედ საომრად. მტერი დამარცხა და სპარსელებმა გადასწყვიტეს იმედი თავიანთ საჴელმწიფოს დაურღვევლობისა, უმეტესად ამისთჳს რომ ჴელმწიფე მათი იყო ომის შემდეგ ერთის კარის კაცისაგან მოკლული.

ომის შემდეგ გავარდა ხმა, რომ ვითომ სპარსეთის ჴელმწიფე მოიკლა ალექსანდრესაგან დაქრთამულის კაცისაგანაო. ამ ამბავმა ასე შეაწუხა ალექსანდრე, რომ ბრძანა იმ კაცის მოყვანა, რათა თავი მოეკვეთინებინა. კალისფენმა აქო ეს საქმე იმისი. «რასა ხედავ ამას?» იტყოდა ალექსანდრე: «ახლა როგორც ვხედავ კალისფენიც კი ჩემს ბოროტად შეცვლას ცდილობს; მახსოვს, რომ დარიგებისთჳს გამოგზავნა არისტოტელმა და არა ჩემ ბოროტად შეცვლისთჳსაო.» — «ჴელმწიფევ!» მიუგო კალისფენმა: «ქებას და ბოროტებას, რომლითაც გაცდენთ დიდი განსხვავება აქუსთ. მე გაქებთ და არ გამაგებთ, ფილოსოფოსის ვალი არის, რომ ყოველი კეთილი აქოს და ბოროტი აძაგოს. თუ დაამდაბლებთ თქჳენს თავსა მაშინ შეიძლება იპოვნოთ იმისთანა კაცი, რომელიც გაქებდეს, და გარნა არას დროს არ

ქნება ის ფილოსოფოსი.» ლევანს ყოველივე ესმოდა და დიდათ ჯავრობდა თავის გულში; იმას რამდენიმე უნდოდა მისვლა და დაცინება, მაგრამ ყოველთვის იმაგრებდა თავსა, გარნა ბეზღება მეფესთან იდუმალ ყოველთვის ჰქონდა.

ამ დროს ალექსანდრე აპირებდა წასვლასა იუპი-ტერის საყდარში, რომელიც იდგა ლოვის უდაბნოში; წასვლის წინა დღესა სარდლებს მოუვიდათ ლაპარაკი თუ ვინ უნდა ხლებოდა თან. ალექსანდრემ წაიყვანა თან მთელი თავის კრება; დაიწერა სია: გზაზედ ვის რა თანამდებობა უნდა სჭეროდა. კალისთენის სა-ხელის პირ და პირ იყო დაწერილი «ბარგთან იყოს.»

ფილოსოფოს ეს სრულებით არ ეწყინა და არცა თუ შეეიჩინა; ყველაზედ მეტად შეაწუხეს დაბალთ კარის კაცთა, რომელთაცა არ წაიკითხეს იმის ბარგის უკან დენა, ცდილობდნენ ყოვლის ღონის ძიებით იმის შეწუხებას.

ალექსანდრემ წასვლის დროს დაინახა კალისთენი: მირჩეულად დიდათ სცხვენოდა იმისი და მერმე მივიდა კალისთენთან და უთხრა: «მეშინიან, რომ ჩვენმა სიარულმა არ შეგაწუხოთ, ჩვენ ჩქარის სიარულს ომში დაჩვეულნი ვართ, და თქვენ ბარგ-თან მოსვენებით ივლით და როგორც თქვენ ისურვებთ. «ჴელმწიფევ!» მიუგო კალისთენმა: «მე თქვენს უნებურს საქმეს ვერა ვიქ; ჩემთვის სრულებით ერთია თქვენთან ვიყვე თუ ბარგთან, თუკი ჩემი თქვენ-თან ყოფნა საჭირო არ არის, თუ არ მოშორება.»

ეს სიტყვები ასეთი ნაირად სთქვა კალისთენმა

რომ ვერავინ ვერ შენიშნა იმასში უმადლურება. ალექსანდრე შეკრთა, და რა ეს შეატყო ლევკანმა, იმათ დასამშვიდებლათ უბრძანა იქ მდგომარე სარდალთა რომ ბძანების აღსრულება დაეწყოთ; ამავეს დროს მოიტანეს ეტლი, ჩასვეს და საჩქაროდ წაიყვანეს ავადმყოფი.

კალისფენი როგორც გამოჩენებული კაცი მეფისა წამყვა ბარგსა. ნაჩადნიკი ბარგისა სახელით სკოტაზი იყო ეგლას მორჩილი და ხულელი; ის ყოველთვის ლაპარაკობდა აქლემებზედ, ცხენებზედ და სხვა მხეცებზედ. როდესაც ლაპარაკობდა პირუტყვებზედ ის დიდი მოხარული იყო; მაგრამ სხვა რაზედმე კი ხმის ამოღება არ შეეძლო. სკოტაზი ისე ბრიყვად მოექცა კალისფენსა, რადგანაც თავისი პირუტყვთა მიდრეკილებაც ნებას არ აძლევდა, რომ უკანასკნელიც არ მოითმინა. აჲ რას უბნობოდა სკოტაზი: «შენ მოხუცებულო კაცო, რისთვის დადიხარ ჩუენთან? უშენოთაც ყოვლისფერი გვემომება. მე გამიგია ვითომც შენ ფილოსოფოსი ყოფილხარ; აბა ერთი გამოვცადო შენი ფილოსოფოსობა. ჩუენ საჯინიბოში თავის დღეში ფილოსოფოსი არ გვინახამს. მე მგონია კელმწიფესთანაც მცირეთ არიან.» — «შენ მცირედ გინახამს!» უპასუხებდა კალისფენისჩანს რომ, იმათი რიგი არ ყოფილა მაკედონის მეფესთან ყოფნა.» — «მეფეს უნდა გონიერი კაცნი,» უთხრა სკოტაზმა: და მე შენში ვერას ვხედამ სიგონიერესა და აგერა ჩუენ თითონ ოცდა ათი წელიწადია რაც უცდით როდის გაგვეხსნება ბედი, მაგრამ

დღევანდელამდინ არსად მჩანს.» «მე ბედნიერი ვარ,» ეუბნებოდა კალისფენს.—«მაშ რატომ მეფესთან არ ხარ?» ჰკითხა სკოტავზმა. «შენ ვინდა დამარწმუნო, რომ მეფის საყვარელი ხარ. არა! თუ ჩემს ხელში ხართ მაშინ თქუენი ბედი აღარ სწორის. მე ვგონებ, რომ ბევრის ლაპარაკით შეიძლება კარის კაცნი. მეც რამდენჯერმე გადვიხადე იმათის გულისთჳს სასჯელი.» ასე ეუბნებოდა სკოტავზი. გზაში ელაპარაკებოდა ცხენებზედ და აქლემებზედ; რაკი შეატყო რომ ფილოსოფოსს არა ესმოდა, დიდათ შეიძულა და მტვრიდამ, რომელშიაც შინაგულად იყო ჩასმული, მისს გადმოსვეს და ფეხით დაუწყეს ცარცება. «თუ შევხვდებოდა დეკანის ცარცება გზაზედ, მე ვგონებ სხუა ნაირად მოვექცეოდი.» უთხრა კალისფენმა «აი კიდევ რა!» დაუმატა სკოტავზმა «იმისი აღმატებულობის გულისათჳს თუნდა მეც თითონ შევემებოდი.»

რამდენიმე დღის შემდგომ ალექსანდრე იუპიტერის საყდარში იყო. მოვიდა ფილოსოფოსიც: ჭურჭების მდუღრულით შეიძლება ალექსანდრეს ღონების გამოცდა. კალისფენმა გაიგონა, რომ არის ტოტემის მოწაფე იმასის იუპიტერის შვილი ვარო და ნახა რა რომ უქადაგებს ხალხსა საკვირველსა თავის შთამამავლობაზედ. ის შევიდა მეფის კარავში და რა ნახა ალექსანდრე, რომელსაც გარშემო ერტყნენ დამქაშნი და სარდალნი, რომელთაც არა ეტყობოდნენ საწუხურნოებაზედ და სწრაფად უკუღმათ ლაპარაკი მეფე უბრძანებდა. უცვლელნი არწმუნებდნენ კალისფენს, რომ

ალექსანდრე ღმერთი იყო. უთხრა კალისფენმა: «მეფევ, მართლა შენ ღმერთი ხარ!» «განა მაგაში ეჭვიც გაქვს?» მიუგო ალექსანდრემ დაბრკოლებით და გაწითლდა კიდეც. «მეფევ!» უთხრა კალისფენმა: «შეგიძლიან უწოდო შენს თავსა ღმერთი, მაშინ, როდესაც რომ გულსმოდგენით სამსახურისთჳს მოწყალებას აძლევენ, ღუთად შერიცხვისთჳს შემწეობენ. ყველაზედ მეტად უყვართ სასუფეველში შეჰყავნა.»

კალისფენმა არ მიართვა სხვურებლი თჳსი მეგობრის მოწაფეს, იმ მიზეზით, რომ იმახლა ქალაქ ლიკეაში ართვარით აგრე ახლო ღმერთის დანახვას დაჩვეულნი. ახლის ღმერთისგან მოელოდა რამ ცუდს საქმეს, როდესაც ყოველს ღონის ძიების მოხმარებას აპირებდა იმისი მოქცევისთჳს. ეს სურვილი მალე აღსრულდა: რამდენიმე თვის შემდეგ იუპიტერის შვილს უშვერო ყოფა ქცევისა შეიქმნა. თავის მეგობარს კლიტუსა დასცა შუბი და მოჰკლა, ერთხელ ვახშმის შემდეგ, უგუნური ქალის სიყვარულით დააწვევინა მთელი საჩინო ქალაქი.

ამისთანა ამბავმა განაცხარა კალისფენი. ის შევარდა მეფის კარავში, იმას არვისი არ ეშინოდა. «ალექსანდრე!» დაუძახა: «შენ მაგისთანა ღმერთი ხარ? მეგობარს ჰკლავ, ათას უბრალოს კაცს სწვავ, შეუწყალებელო! შენ კაცის სახელის ღირსი არ ხარ!» კარისკაცნი უფრო აბოროტებდნენ ალექსანდრეს, რომელმანცა მეფის წყრომით მისცა დევანს და უბრძანა, რომ კანონიერად გადეხდევი-

ნებინათ კალისთენისათჳს.

ლეკვანმა არ შეიწყალა მოხუცებული კაცი. მირ-ბმულად აწვალა და მერმე ჩასვა საპყრობილეში, სადაც კალისთენი შეიქნა ავათ და მიიცვალა.

არისტოტელის მიცვალების შემდეგ, იპოვეს იმის სენაკში წერილი, რომელიც იყო დაწერილი რამდენიმე წამის წინათ კალისთენის სიკვდილისა.—მასვე წიგნზედ იყო რამდენიმე სიტყვა თვით არისტოტელისაგან წარწერილი.

წიგნი კალისთენისაგან მიწერილი არისტოტელისადმი:

«ვკვდები საპყრობილეშია; ვმადლობ ღმერთსა, რომ ჭეშმარიტის გულისთჳს დავისაჯე. ალექსანდრე იგონებდა ჩემს რჩევას ორს დღეს. ამ ორს დღეში დავიხსენი სპარსეთის მეფის სახლობა და მთელი ერთი საერისთო სიკვდილისაგან!»

არისტოტელისაგან წარწერილი იმავე წიგნზედ:

«მეფეებთან, რომელიც სრულებით არ არის წამხდარი, აჲ რა შეუძლიან, კეთილს კაცს ადასრულოს ორს დღეს!»

ნათ. თ. გრიგოლი ჯავახი-შვილისა.

## გაუმარჯჳებელი არშიყობა.

ერთმა ყმაწვილმა კაცმა, სახელად გაბრიელმა, დაანება რა სამსახურსა თავი, ქალაქითგან გადასახლდა სოფლად იმ ჭაჳრით კი არა, რომ მოეარნა თავის მამულისათჳს, არა! რადგანაც მომრავლოდ ახალგაზრდა ქალები იდგნენ იქა და გაბრიელს რადგანაც უყვარდა არშიყობა, ამისთჳს უფრო წავიდა სოფელში. გაბრიელს საქმე არა ჰქონდა, რა, ხშირად უკრავდა თარსა, ესწავლა სხჳა და სხჳა გვარი სიმღერები ჭავჭავაძესი, ბესიკისა, და სხჳათა, იჯდა მთელს დღეს დაკეტილს ოთახში, უკრავდა თარსა, ზედ დამღეროდა და ზოგჯერ სთხუზევდა ახალ სიმღერებსა, მარამ მეზობელნი იქაურნი მებატონენი, რა დაბრუნდებოდნენ ხოლმე ნადირობიდამ არ ასვენებდენ: ხშირად რა შევიდოდა ეზოში გაბრიელ და სიყვარულის ზღჳაში ცურავდა, შემოესმოდა ხოლმე ყვირილი, ყაყანი, ძაღლების ყეფა. თუმცა ყმაწვილ კაცს უშლიდენ ესე მებატონენი, მაინც კიდევ ყურადღებას არ აძლევდა, მღეროდა ნაზურ ხმაზე გრძნობიანთა სიმღერათა, მარამ გულ-მობიერ სიმღერის თქმის დროს, კიდევ შემოესმოდენ გარედან ჭარიალალოს ხმა, ჯჳ ტჳრუ კამბეჩო რქიანო და ამ გვარი, მაინც კიდევ ყმაწვილ კაცს სიყვარულით შეპყრობილს, მოსვენებას არ აძლევდნენ.

ერთხელ რაღაც შემთხვევით იმ სოფელში, სადაც გაბრიელ მიეცემოდა ტკბილს განცხრომასა, მოვიდა ახალგაზრდა თავადის შვილი, ადრინდელი მეცნობი

გაბრიელისა და რა შეიტყო გაბრიელ აქ არისო, მოინდომა ნახვა, მარამ მოსამსახურემ არ შეუშვა და უთხრა: ახლა დიდს საქმეში არის. დილაობით არავის მიიღებს ხოლმე და თუ გნებავსთ საღამო-ზედ მობრძანდით, მაშინ კი შეგიძლიანთ ნახვაო.

მგონია ძმობილო მე კი მიმიღოსო, რადგანაც დიდი მეგობარი ვარ მაგისი; მოახსენე: მიხეილ გახლავსთქო, უთხრა ახლად მოსულმა. მოსამსახურე შევიდა, მცირეს ხანს უკან გამობრუნდა და შეიყვანა მიხეილ, რომელსაცა კარებში მოეგება გაბრიელ ახალუხითა, ქოშებითა და თარი კელში.

—აბა რას აკეთებ ამ სოფელში, საყვარელო ძმაო? ჰკითხა მიხეილმა.

—რას ვაკეთებ ყმაწვილო, უკრავ თარსა, ზედ დავმღერი, შევაქცევი და სხუა და სხუა სიმღერებსაცა ვჰთხზავ.—მარა ძალიან კარგ დროს მომასწარი, შენმა გაზრდამ მიხეილ, ვიცი რომ შენ ჩინებულს ლექსებსა ჰსთხზავ, ეს ოხერი ჩემს გოგრიდამ კარგი კი ვერა გამოდისრა და,—ჰაზრი ბევრი მიძევს თავში. ერთს ტრიქონს დავსწერ, მარამ რაკი მიდგება საქმე მეორე ტრიქონზე და იმის მოწყობაზე, მაშინ უნდა ნახო, ვიხეთქ თავსა, ვცდილობ რაც შემიძლიან, ვერას კი ვერ გაწყობ, მეორეს ტრიქონს დავიწყებ, რაკი მოწყობაზე მივალ, მაშინ მშვიდობით. აჲ ახლა მინამ შენ მოხვიდოდი, სამი საათი არის თავს ვიხეთქ და არა მეშველარა, ერთი სიმღერა მინდოდა გამომეთქო და მემღერა მთვარიანს ღამეს ჩემის სიცოცხლის სადგომის კარებ წინ.

—ჯერ დიდი ხანი არცკი არის, რაც მოსულხარ, ესრედ მალე როგორ შეიყვარე ქალი? უთხრა მი-ხეილმა.

—აქ გასაკვირველი არ არის, მე ისე როდი მიყვარს ქალი, როგორათაც თქვენ; მრთელს ერთს წელიწადს უკან ჰსდევთ, შემდგომს რა ჩაიგდებთ ორ დღეს იქით თავს დაანებებთ; გუშინ მინდოდა აქაური მებატონების ნახვა, რა მივიდოდი გზაზედ ერთის სახლის კარებზედ ვნახე ასეთი ქალი, რომ ცეცხლივით დამწვა იმისმა სიყვარულმა. მიხეილს უნდოდა რიღასაც თქმა, მარამ გაბრიელმა ხმა გაკ-მეტინა ჲ კიდევ თჳთონ ამბობდა. შენიჭირიმე მი-ხეილ, ერთი მიშველე რამე ლექსებში, აჲ ერთი ტრიქონი დავწერე კიდეც, მეორე კი ვეღარ მომა-ხერხებია:

«შენ ქალო ღირს მუაკ, ტურფავ ღიმილით...»

ამ ალაგს გავჩერდი, როგორათაც ხე, არ შემი-ძლიან შევასრულო, რამდენსაც ბევრსა ვცდილობ, იმდენი გონება მეფანტება, მე თჳთონ მრცხვენიან, მარამ რასა ვიქ.

—არა, ტყუილათ თავს რაზედ იხეთქ? რაც პირს მოგადგეს იმღერე, ხალხი ლექსებს კი არ ეძებს, ტკბილი ხმას უგდებს ყურსა, შეგიძლიან ეგ ლექსი გაათავო ამით:

«ვარსკვლავის მზგავსად, მახარე სხივით.»

—ახ! ძმაო, ეგ ნისლიური პოეზია არის; ჰაზრი ქო მგონია არ გამოდის.

—არაფერი არ უშავსრა, ჰაზრი არ გამოდის, მაგრამ პოეტური სიცრუვეა.

—დაესხენ ეგრე იყოს. რადგანაც შენა გსურს, აბა ახლა დავიწყოთ სხუა ტაეპი.

«მით სიხარული, მიეცა ჩემს გულს.»

მ ი ხ ე ი ლ:

«ნუღარ წარიტან, განწირულს სულსა.»—

—მადლობელი ვარ, ძმაო, მეორე ტაეპიც შესრულდა, თუმცა ჰაზრი კარგად ვერ გამოდის; მაინც ჰაზრი რა საჭირო არის, დასაბეჭდავად ხომ არ მინდა, როგორც იქნება თარზე დავმღერებ, ბრძნობა მიეცემოდეს მსმენელსა, თვარე.—

რადგანაც ამდენი სიკეთე მიყავ მიხეილ ერთი ესეც დამავალე უკანასკნელი ტაეპი შემითხუზე.—

მიხეილმა ჯერე მოსწივა ჩიბუხი, შემდგომს რა პირიდამ გამოუშვა ბოლი, ჰსთქუა უკანასკნელი ტაეპი:

«არ მგონებ ჩემზე, იყო გულ გრილი,
და განმიბნივო, ტრფობის სურვილი.

ნუ მეოფ დაგდებულს, ქუტყუნად საწყალსა,

უპასუხოთა, ცეცხლებზედ გამქრალსა.—»

—ყოჩაღ! მიხეილ მე მგონია თჳთონ ზეზიკოც ვერ დასწერდა მაგისთანა ლექსსა, ახლა მაშ, შენის ლექსების პატივის ცემისათჳს, ერთი ჩარექი ღვინო დავლიოთ და შემდგომ გამოსცდი თარზე როგორ მოდის, ეს ახალი სიმღერა.

რა დალიეს ღვინო, გაბრიელმა თარი ჴელში აიღო და უნდა დაეწყო ახალი სიმღერა; მიხეილმა დააყენა და დაუწყო კითხჳა:

—ჯერ შენი სულის ჭირიმე გაბრიელ, მითხარ როგორი შეხედულობის ქალია, თვალები როგორი აქჳს?

—თვალები აქჳს ცის ფერი.

—თმები?

—თმა ოქროს ფერი.

—პირი?

—პატარა ტუჩები ვარდის მსგავსი, შექმნილი მხოლოდ კოცნისათჳს. ასე შემიპყრა იმის ტუჩების სილამაზემა, რომ კინაღამ ცოტა გაწყდა დავიჭირე ქუჩაში და ვაკოცე.

—ფეხები?

—როგორ აცვია, შენსა მშჳნიერსა?

—შავი ატლასის კაბა, მხრებზედ ზოლზოლი მოლურჯო შალი, სარტყელი თეთრის ჯანციისა.— მიხეილმა შეხედა გაბრიელს, ჯერ გაიღიმა, შემდგომს საშინლად გაიკახკასა.

—რას იცინი ძმაო გიჟისავითა, უთუოდ შენა

გშურს, რომ ვიშოვნე ვენერის მზგავსი ქალი.

—არა მე მეცინება, მაგ საჩქაროდ შეყვარებაზე; მგონია არცკი იცი ის ქალი ვინ არის: გასათხოვარია, ქმარიანია თუ ქვრივია?

—მართლად რომ მივხვდი, შევიყვარე ქალი და არ ვიცი კი ვინ არის; მარამ რა საჭირო არის შეტყობა, ცოლად ხომ არ ვითხოულობ, მხოლოდ სარშიყოდ მინდა.

—მაშ აბა ახლა მითხარ, სახლი რა ადაგს აქვს იმ ქალს, იქნება მეც როგორმე შეწევნა მოგცე.—

— რა გაუდგები ჩვენს სახლის ქვემოთ გზასა, კარგა წასვალ, ქვევით კირის სახლი თეთრად შეღებული დაგხვდებათ, იმაში სდგას.

რამდენს ეცადა მიხეილი, რომ სიცილი შემაგრებინა, მარამ ვერ შეიძლო, წასკდა სიცილი და ადრინდელზე მეტად გადაკასკასა.

—ვითომ რა სულელობა არის აგრე სიცილი რა მასხარათ აგდება, სამასხაროს რას ვამბობ განა?

—ამისთჳს ვიცინი რომ დედაკაცებს ისე მისდევ, როგორათაც მინდორზედ სანადიროთ ჩიტსა. მშვიდობით ძმაო, მსურს კეთილად შენის საქმის წარმართვა.

რა სტუმარი გამოისტუმრა გაბრიელმა, ადგა თარი და მოჰყვა ახლის სიმღერის ჰსწავლასა. რა დაღამდა ახალუხა, ქოშებით და თარი ხელში გაემართა ქალის სადგომისაკენ, რა მიახლოვდა სახლს გაბრიელი, ამოიოხრა, ჩაახველა და მოჰყვა სიმღერას თარზე:

შენ ქალო ძირს მყავ, ტურფა ღიმილით.
ვარსკვლავის მსგავსად, მახარე სხივით.

ამ სიმღერაზე არა ვინ არ გამოხედა სახლიდამ, თურმე ბანზე ისხდნენ სახლობანი და იქიდგან ყურს უგდებდნენ.

გაბრიელმა კიდევ ამოიოხრა და განაგრძელა სიმღერა:

მით სიხარული მიეცა ჩემს გულსა,
ნუღარ წარიტან, განწირულს სულსა.—

როგორათაც გაბრიელის ჭაზრში ჰსჩანდა, ამ სიმღერამ დაიწყო მოქმედება ქალის გულშია. ვიღაცამ ბანიდამ გადმოყო თეთრი სპეტაკი მკლავი და რაღაცა ძირს ჩამოაგდო. გაბრიელი სიხარულით მივარდა, აიღო ძვირფასი ნიშანი სიყვარულისა, მიიკრა გულში, მაგრამ რა დააცქერდა ნახა, რომ ძველი ქუდის ჩაჩი, რომლისა დახურვას უკანასკნელი მენახშირეც არ იკადრებს.

მოარშიყემ თუმცა შეიტყო, რასაც ნიშნავდა ესა, მაგრამ იფიქრა იქნება შიგ წიგნი იყოსო; ბევრი ეძება ვერცა თუ ჰპოვა, მხოლოდ გასვრილი საძაგლად ცარიელი ქუდის ჩაჩი იყო.

ამ დროს კარები გაიღო ქალის სადგომისა და გამოვიდა გაბრიელის მცნობი მიხეილი, რომელმაცა სიმღერა შეუთხზა.

—გამარჯობა გაბრიელ, უთხრა მიხეილმა.

— ეგ რომლის განგებით მოსულხარ მანდა? ჰკითხა გაბრიელმა, რომელსაც ჴელში ეჭირა ქუდის ჩაჩი.

— არა! მე უნდა გკითხო შენა; რისთჳს მოსულხარ აქა და რა გნებავს?

— სალაური კითხვა არის! შენ თჳთონ უფრო ჩემზე კარგათ არ იცი.

— მე ვიცი მხოლოდ ესა, რომ შენ მასხარათ გიგდებენ და გაბრიყვებენ.

— როგორ? რით დაამტკიცებ?

— აჲ მაგ ქუდის ჩაჩით.

— მე ძალიან მსურს შევიტყო, ვისის ნება დართჳთ მოსულხარ მანდა?

— შენი ბრძანება არ ვიცოდი, თორემ აქ მოსვლას აღვიკრძალავდი.

— მგონია არ გიყვარდეს ის ქალი, რომელსაც მე შევტრფი და რომელსაც ახლის სიმღერის შევმღერი. —

— არა, თითქმის ძალიანაც მიყვარს და თანახმა არაოდეს არ შევიქნები, რომ დავსთმო ვისმე.

— აჲ ესეც ახალი ამბავი! რომლის უფლებით ეარშიყები ჩემს საყჳარელსა?

— ეგ ძალიან ადვილი გასაგონია — შენ სულელო ეს ჩემი ცოლი არის.

— ცოლი! დაიყვირა განცჳფრებით გაბრიელმა და გააგდო ჴელითგან ქუდის ჩაჩი.

— არ დაკარგო ნიშანი სიყვარულისა, მოცემული საყვარლისაგან, უთხრა სიცილით მიხეილმა.

—უსამართლო! უმადურო! აჰა ჯილდო ჩემის მეგობრობისა; ეგ როგორ მიყავ, რომ მომიყვანე შენ ცოლთან და გამაჩუმე ვირისავითა. ახლა კი მივხჳდი რისთჳსაც იცინოდი, სიმღერის შეთხუზვაში, რასაკვირველია, რომ აღგიწერე შენის ცოლის შეხედულობა, შეიტყე და არ მითხარ, რადგანაც ჩემი ვირად გახდომა გინდოდა. დამეკარგე შენ ავო კაცო, არა გაქჳს ღირსება ჩემის მეგობრობისა.

ორნივე მეგობარნი განშორდნენ, მზგავსად ნაჩხუბ ინდეურებისა.

კ.

# სარჩევი.

წარჩინებული სიტყვიერება,—პოეზია: I. თევზის მონადირესა და პატარა თევზ-ზედ (პუშკინით). (დიმ. მგალობელოვისა) 1.—II. დარაჩიჩადის მთა (დ. თადიევისა) 16.—

პროზა: I. ამბავი—უმანკო სისხლი, (თ. ალ. ვახტანგის-ძის ჯ. ორბელიანისა) 19—

მსწავლა და ხელოვნება: I. ათინის ფილოსოფოსი კალისფენ. (ნათ. თ. გ. ჯავახის-შვილისა) 41.

სხვა და სხვა ამბავი: I. გაუმარჯჳებელ-არშიყობა. (კ.) 55.—

---

ამა სალიტერატურო ჟურნალის «ცისკრის» მიმღების მსურველთა, შეუძლიანთ ინებონ მოქცევა თხოვნითა რედაქციაში, ქ. ტფილისს, თავადის ალექსანდრე ვახტანგის-ძის ჯამბაკურიან ორბელიანის სახლებში. ფასი თორმეტის წიგნისა, ესე იგი ერთის წლისა ექვსი მანეთი, ხოლო შინ გაგზავნით შვიდი მანეთი თეთრი ფული.